# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 12 კვირა, 17 იანვარი 1910 წ. № 12

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამვლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ითხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5 დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახერა ინახავს ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



წარმოდგენა № 27. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 27.

კვირას, 17 იანვარს 1910 წელს.

◀ ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით ▶

ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

უილიამ შექსპირი

## ჰამლეტი

ტრაგედია 5 მოქმედებად თარ. ივ. მაჩაბლისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ბ. ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ვ. ალექსი-მესხიშვილი, კ. ანდრონიკაშვილი, გ. გედევანოვი, ნ. გვარამძე, ზარფალიშვილი, ზვიმონიძე, ი. ივანიძე, მგალობლიშვილი, მურვანიშვილი, კ. მესხი, ... მატარაძე, ი. ყიფიანი, შ. საფაროვი, ვ. ურუშაძე.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 12 მ.-დან 5 მ.-მდე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-მდე. გალერეია 40 კ.-დან 25 კ.-მდე. მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსადგენად „სამეგრელოს მთავარი ლევან", „სად მიხვალ".

რეჟისორი **ვლ. ა.-მესხიშვილი.** რეჟის. თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

## შაბათს, ამა იანვრის 23-ს

**საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში გაიმართება**

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

## სალიტერატურო-სამუსიკო საღამო

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი კნ. გურამიშვილისა, ეკ. ივ. პოლტარაცკისა, ბ-ნნი ვიქ. რ. ვილშაუ, ივ. სარაჯიშვილი, ბრონ. ი. სლიუსარსკი, ს. მგალობლიშვილი, ნ. ქართველიშვილი, ვ. ურუშაძე.

## ქართული და ევროპიული ცეკვა

ნაშუალამევის 2 საათამდის

ადგილების ფასი 3—1 მან. ბილეთები იყიდება წ.-კ. საზოგადოების კანცელარიაში.

**დასაწყისი 8½ საათზე.** (8—3)



## ძმ. ნიკიტინების ცირკი.

**გასტროლი იაპონურ დასისა.**

კვირას, 17 იანვარს, 1910 წელს, ორი დიდი წარმოდგენა 3 მოქმედებად. დილით სპეციალ. ბავშვებისათვის. მონაწ. იღებენ იაპონელები. დასასრულ კომიკური პანტომიმა. საღამოთი, 8½ ს., საუცხოვო წარმოდგენა შესანიშნავ ევროპ. არტისტებისა და კლოუნების მონაწილეობით. სხვათა შორის, მონაწ. იღებს შესანიშნავი **იაპონური დასი**, რომელიც შესდგება 25 კაცისაგან. ამ დასში სულ სასახლის არტისტები არიან. საუცხოვო სანახავია. იაპონური დასი გამოვა მე-2 განყოფილებაში.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

დაწვრილებით პროგრამებში.

დირექტორი **ა. ნიკიტინი.** გამგე **გამსახურდია.**

## გლეხი-კაცის ისტორია

რამდენიმე აგენტისა და კიდევ მრავალ ხელის მოწერის მსურველ პირის თხოვნით „გლეხი-კაცის ისტორია"-ზე ხელის მოწერა, როგორც ტფილისში, ისე პროვინციებშიც გაგრძელდება **20 იანვრამდე.** ვინც ოც იანვრამდე არ შემოიტანს აგენტებთან ან გამომცემელთან ხელ-მოსაწერ ფულს, იმათთვის წიგნი არ დაიბეჭდება და გვიან მიღებული ფული უკანვე დაუბრუნდება პატრონს. აგენტებმა სრული ანგარიში უნდა გამოგზავნონ ადგილიდან ამ იანვრის **20—25-მდე გარეშე აგენტებისა ვისაც შეუძლიან თავის ნაცნობებს შვიდი ხელის-მომწერის შოვნა და შვიდ მანეთს წინდაწინვე გამოგზავნის ზემოხსენებულ ვადამდე, მას გაეგზავნება რვა წიგნი „გლეხი-კაცის ისტორია" გამომცემლების ხარჯით.** რადგან **წიგნი ცალკე გასასაყიდად არ გამოვა,** სამკითხველოების გამგეებს შეუძლიათ შეიძინონ ხსენებული წიგნი მხოლოდ ხელის მოწერით. წიგნის ბეჭდვა დაიწყება აუცილებლათ **1-ლ თებერვალს** და ყოველიეე ღონე იქნება მიღებული დროზე საქმის დასასრულებლად.

ფული და ყოველგვარი მიწერ-მოწერა „გლეხი-კაცის ისტორია"-ზე ხელის-მოწერის შესახებ გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Кирочная ул. № 9. **Василію Гадилія.**

(5—6.—5) წიგნების გამომც. ამხ. „ალიონი"-ს გამგე **ვასილ გადილია.**

კვირას, 17 იანვარს, 1910 წელს, დილის 10 საათზე **ბირჟის დარბაზში** დანიშნულია **„ტფილისის ვაჭარ-მრეწველთა საზოგადოების"** წევრთა

## დამფუძნებელი კრება

განსახილველი საგნებია: 1) მიმდინარე წლის დ. ახლოვებით ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება; 2) ახალი წევრების მიღება; 3) საზოგადოების წევრთათვის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის დაარსება; 4) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა; 5) გამგეობისა და სარევიზიო კომისიისთვის ინსტრუქციის შედგენა; 6) წესდების ზოგიერთ §§ შეცვლა.

მსურველ შეუძლია კრების დღესვე საზოგადო წევრად ჩაეწეროს. (2—122—2)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსნის ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.- და პარას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., 

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი გ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**ხოხოლევსკი გ. ვ.** ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (100—6.—86).

საწვრიმალო განყოფილება სავაჭრო სახლის

## ძმ. ა. და ა. მილოვებისა

გოლოვინის პროსპ., ტელეფონი № 774.

## დანიშნულია ექვსი დღით

◀ 18, 19, 20, 21, 22, 23 იანვარს ▶

## დიდი ვაჭრობა დარჩენილ ნაჭრებისა.

და ყველა საქონლისა, რომელიც საზამთრო **სეზონს** გადარჩა,

## ● ფასის ძალიან დაკლებით ●

აბრეშუმის, შალეულის, მაუდის, ტილოს და ბამბის საქონელი. სუფრები, საბნები, ხელსახოცები, პლედები საგზაო და ეკიპაჟისა.

◀ **ქალის ხალათები** კრუჟოვისა და **ნაკერი ტანისამოსი** აგრეთვე ▶

**მაუდის** საქონელი **ინგლისისა და რუსის** ფირმებისა. სადილის დროს, 2½ დან 4 საათამდე, მაღაზია დაკეტილი იქნება. (2—გაჟ.—1)

სახალხო უნივერსიტეტი

(სახალხო სახლი ზუბალაშვილისა).

**კვირას, 17 იანვარს,** ქუთაისის ქალთა გიმნაზ. მასწავლებელი **ი. მ. გიგინეიშვილი** წაიკითხავს ● **ლექციას** ● შემდეგ თემაზე:

## სპერანსკი და მისი პროექტი

სახელმწიფოს **რეფორმები** 1809 წ. რუსეთის საზოგადოებრივ იდეის ისტორიიდან.

ლექციის შემდეგ გაიმართება

## კონცერტი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი სტოგინა, დუბასოვა; ბ-ნნი ბუტი, ვართანოვი, ვალსოვი, მარიმევი, ძმები **პალცევები** დაუკრავენ სკრიპკაზე როიალზე დაუკრავს მ. ფ. ზეიცი. დასაწ. დილ. 11 ს. ფასები ლექციისა და კონცერტის პარტ. 10 კ. ბალკ. 5 კ. ბილეთები იყიდება ყოველ დღე როგორც კასაში, ისე რკინის გზის სახელოსნოში: «სბორნი» ცეხის კანტორაში ი. მამაცევთან, „ტოკარნი" ცეხში ს. ჩიკვაიძესთან, „ვაგონნი" ცეხში კ. გოგუასთან, „პაროვოზების" დეპოში ნ. იასტრებოვთან, ვაგონის პარკში კ. ოტტო, საქონლის სადგურში გ. ფილია, ტრამვაიში არლიძე და ენფიანჯის ფაბრიკაში ვ. კალანდარიშვილი. (2—2)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიაჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. გაჩაყაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**გ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ 2—2½ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—248)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—77)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 ყოფილი კირპიჩნაია). (0—36)

**ქუთაისში** ექიმი გაბ. იოს **გოკიელოვი**

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 ს. და საღამოთი 5½—6½ ს. ვენერიულ სნეულებით ავადმყოფები მიიღება და აგრეთვე **ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია** (ელექტრონის სინათლის საშუალებით ბუშტების და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა. ელექტროთერაპია—ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—კვ.—9)

**ექიმი** ქუთაისში **კ. თ. ტყეშელაშვილი**

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (0—კვ.—150)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აზნაურის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—344)

**ექიმი ვასილ წერეთელი** ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს, საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოხე ქიქოძის სახლი. (0—უ.—94)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი შ. მიქელაძე**

იღებს შინაგან და ბავშვთ, სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბცეროვის ქუჩა N 17ა პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. 0—2

ქუთაისში

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

## სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიჭრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—6.—84)

**ექიმი გ. მამაკიანი**

**შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს, ძიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—73)

◀ **ვკისრულობ დაცვას** ▶

სისხლის სამართლის საქმეებისას ყველა სამოსამართლო დაწესებულებაში. ვაწარმოებ საქმეებს: ცოლ-ქმრობის განქორწინებისას, ადმინისტრ., წოდებრივ, გლეხების და სხვას; უძრავ ქონების გაყიდვას, დაგირავებას საკრედ. დაწესებულებებში. ვადგენ: თხოვნებს უმაღლესს სახელზე, ბავშვების შვილად აყვანისა და დაკანონებაზე, ცალკე საცხოვრებლად პასპორტის მიღებაზე, სამხედრო ბეგრის საქმეებზე, საჩივრებს კერძოს, სააპელაციოს, საკასაციოს; ვაძლევ სხვა და სხვა ცნობებს, განმარტებებს; ვადგენ სააპეკუნო ანგარიშებს, პროექტებს ხელ-შეკრულებებისას, პირობებისას, ვალდებულებებისას და სხვა საქმის ქაღალდებისას ყველა დაწესებულებაში. ვაძლევ რჩევებს ყველა საქმეში. **მაქვს ოცი წლის გამოცდილება.** მიღება ყოველ დღე დილით 8—10 ს., საღამოთი 5—8 საათზე.

ტფილისი. დიდი ვანქის ქუჩა, N 3 (სადაც სამხედრო ექიმების სამკურნალოა), ბინა N 4. (წ.—6.—25)

**სპეციალისტი ექიმი ქუთაისში**

**ჩარექოვი**

იღებს განსაკუთრებით **სიფილისიან, ვენერიულ და კანით** ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გმგუთის ქუჩა), აბულაძის მეზობლად, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—15


## ტფილისი, 17 იანვარი

ინგლისის საპარლამენტო არჩევნები საერთო ყურადღებას იწვევენ ყოველთვის, ამ ჟამად-კი განსაკუთრებულს. ეს იმით აიხსნება, რომ, საზოგადოდ, ინგლისის პოლიტიკური არჩევნები ყოველთვის რომელსამე საყურადღებო და დიდმნიშვნელოვან პრობლემას სწყვეტენ. წინა არჩევნებზე, მაგალითად, ხალხს უნდა გამოეთქვა თავისი აზრი ლორდთა პალატის უფლებათა შემცირებაზე, იმაზე წინ—ირლანდიისთვის პოლიტიკურ ავტონომიის მინიჭებაზე, წინედ კიდევ საარჩევნო უფლების გაფართოვებაზე და სხვა. ახლანდელი არჩევნები-კი განსაკუთრებით საყურადღებო შეიქმნა იმიტომ, რომ ინგლისის დღევანდელ პოლიტიკურს მომენტში ერთბაშად გაისკვნა რამდენიმე უდიდესი კვანძი, რომელთ გამოიწვიეს ნამდვილი და ღრმა პოლიტიკური კრიზისი დიდბრიტანიის ცხოვრებაში.

უპირველესი მიზეზი ამ კრიზისა შეიქნა ინგლისის დღევანდელ მმართველთა—ლიბერალთა განზრახვა დიადის სოციალურ რეფორმის მოხდენისა. მინისტრის ლლოიდ ჯორჯის ბიუჯეტის პროექტს ძირიანად უნდა შეეცვალა ინგლისის საფინანსო სისტემა: გადასახადთა სიმძიმე საგრძნობლად უნდა გადასულიყო კაპიტალზე დღესვე და ამ გზით თანდათან უნდა გაედემოკრატებინა სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის საქმე და ამასთან ერთად, რასაკვირველია, მთელი სოციალური სტრუქტურაც ინგლისის სახელმწიფოსი. ლიბერალთა ასეთ რადიკალურს განზრახვას მედგრად წინაღუდგნენ უნიონისტები, რომელთაც წინ წამოაყენეს სრულიად სხვა მნიშვნელობისა და ხასიათის ეკონომიური რეფორმის პროექტი: განიზრახეს, ინგლისშიაც ევროპის სხვა სახელმწიფოთა მზგავსად, მფარველობითი სისტემის გამეფება; ინგლისმა, მათის წინადადებით, უნდა უკუაგდოს ძველ დროში დიდის ბრძოლით მოპოვებული ვაჭრობის თავისუფლების სისტემა და აღმართოს სადამოჟნო კედლები.

დიდის ბრძოლის შემდეგ მთავრობამ ქვედა პალატას მიაღებინა ჯორჯის საბიუჯეტო პროექტი, მაგრამ ამას წინ გადაეღობა ლორდთა პალატა,—ეს ტრადიციული მფარველი და სიმაგრე ინგლისის კონსერვატორებისა. აქ გაისკვნა მეორე კვანძი ინგლისის თანამედროვე პოლიტიკურის კრიზისა. ლიბერალებს ჯერაც არ გაუსწორებიათ ანგარიში ლორდთა პალატასთან, რომელმაც ჩაჰფუშა მათი პროექტი ირლანდიის ჰომრულისა; ახლა ამას ზედ დაერთო ლორდთა ჯიუტობა ბიუჯეტის საქმეში, რამაც უფრო თვალსაჩინოდ გახადა ლიბერალთა რწმენა, რომ ლორდების უფლების შეუმცირებლად აღარ შეიძლება ინგლისის წინსვლა და თანდათანი გადემოკრატება მის საზოგადოებრივ წყობილებისა.

მესამე მიზეზი დღევანდელ კრიზისა ისევ ის ჰომრულია, რომელიც გლადსტონისა და როზბერის დამარცხების შემდეგ მხოლოდ დროებით იქმნა მივიწყებული ლიბერალთა პარტიის მიერ. დღევანდელმა ლიდერმა, ასკვიტმა, ისევ წინ წამოაყენა თავის პროგრამაში ეს საკითხი და ბეჯითი პირობა მისცა ირლანდიის ნაციონალისტებს, რომ ამ რეფორმას განახორციელებდა. ამ გარემოებამ, რასაკვირველია, აღამაღლა ისევ უნიონისტთა პრესტიჟი თვით ინგლისში და გართულდა კრიზისი.

ყველა ამას ზედ დაერთო ერთი მწვავე გარემოება ინგლისის გარეშე პოლიტიკისა. როგორც იცით, უკანასკნელ წლებში გამწვავდა ინგლისისა და გერმანიის ურთიერთობა. გერმანია დიდის ენერგიით აძლიერებს თავის საზღვაო ძალებს და მედგარ მეტოქეობას უწევს ინგლისის საზღვაო ჰეგემონიას. ინგლისის ერში ეს გარემოება დიდ შიშსა და დარდს იწვევს; საზოგადოება, უმთავრესად ბურჟუაზიული, დიდად უკმაყოფილოა, რომ ასეთ დროში მთავრობა მეტ ყურადღებას შინაურ რეფორმებს აქცევს და მთელის ძალღონით არ ზრუნავს სამხედრო ძალთა განვითარებისთვის... აი, ამ დიდმნიშვნელოვანმა საკითხებმა შექმნეს ის კრიზისი, რომელსაც განიცდის დღეს ინგლისი და რომელმაც ორ ბანაკად გაჰყო ქვეყანა. ბრძოლა იმდენად გამწვავდა, რომ ლიბერალთა მთავრობა იძულებული გახდა პარლამენტი დაეთხოვნა და ხალხს შეჰკითხებოდა იმ მიმართულების შესახებ, რომელსაც უნდა დაადგეს სახელმწიფო ახლო მომავალში. მთავრობას სრული იმედი ჰქონდა, რომ ქვეყნის უმრავლესობა მის პროგრამას დაუჭერდა მხარს და ამით გამოიყვანდა სახელმწიფოს კრიზისიდან. მაგრამ საარჩევნო პლატფორმა ერთობ რთული გამოდგა და მოლოდინი არ გამართლდა. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ საარჩევნო ბრძოლა სულ სხვარიგად გათავდებოდა, მარტო ლლოიდ ჯორჯის ბიუჯეტი რომ ყოფილიყო სადაო საკითხად. მაგრამ ირლანდიის ჰომრული, საგარეო პოლიტიკით აღძრული შიში და შფოთვა, ლორდთა პალატასთან ბრძოლა და სხვა—ერთობ ბევრი და რთული პრობლემები გამოდგნენ და ერს გაუჭირდა გადაჭრილ პასუხის გამოთქმა.

ჯერ არჩევნები არ დამთავრებულა: როცა ეს სტრიქონები იწერება, გვაკლია ცნობა 70-80 დეპუტატზე; მაგრამ საქმე მიწურულშია და ეხლაც შეგვიძლია ბრძოლის შედეგზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა... დათხოვნის წინ ინგლისის პარლამენტში ასე იყო განაწილებული პარტიათა ძალები.

| | |
|---|---|
| ლიბერალები | 373 |
| უნიონისტები | 168 |
| ნაციონალისტები | 83 |
| მუშები | 46 |
| სულ | 670 |

როგორც ჰხედავთ, ლიბერალებს უკვე ლიციოდაც ჰყავდათ უმრავლესობა, ხოლო ნაციონალისტებისა და მუშების დახმარებით დიდათ სჭარბობდნენ უნიონისტებს. ეხლა სუ-

რათი საგრძნობლად იცვლება. დღემდე არჩეულ იქმნა:

| | |
|---|---|
| ლიბერალი . . . | 233 |
| უნიონისტი . . - | 255 |
| ნაციონალისტი . . | 72 |
| მუშა . . . . . | 38 |
| სულ . . | 598 |

მაშასადამე, ლიბერალთა საკუთარი უმრავლესობა დაირღვა; პალატაში ისინი უკოალიციოდ, ნაციონალისტთა და მუშათა დაუხმარებლად, ხელმძღვანელ როლს ვეღარ იკისრებენ.. საეჭვოთა, რომ ასეთ პირობებში რომელიმე მთავრობამ იკისროს მთავარ სადაო საკითხების გადაწყვეტა. არჩევნებმა, მაშასადამე, კრიზისი ვერ მოსპო, პირიქით, უფრო გაართულეს და გაალრმავეს იგი.

## დღიური

**ტფ. ჟურნალისტების საზოგადოება.**

არის ასეთი საზოგადოება... ორი თუ სამი წელიწადია, რაც დაარსდა ტფილისში ჟურნალისტების საზოგადოება, რასაკვირველია, ქაღალდზე დაბეჭდილის მაღალის დროშით და „უკეთილშობილეს განზრახვებით", მაგრამ არსებობს იმნაირად, რომ მისი არსებობა ამ ჩვენს დედა ქალაქშიაც თითქმის არავინ იცის.

ბევრი ღონე იღონეს საქმის მეთაურებმა დასახიდანვე მკვდარის საზოგადოების გამოსაცოცხლებლად, მარჯვნითაც დასხდნენ, მარცხნითაც, აღმოსავლეთისკენაც მიაპყრეს სალოცავს, დასავლეთისაკენაც, ხან ერთი აირჩიეს თავმჯდომარედ, ხან მეორე, რამდენჯერმე დასცვალეს გამგეობის წევრები, მაგრამ არა გამოუდნათ რა და მათი მკვდარი გამობრუნებას არ აპირებს.

ეს უთუოდ ასეც უნდა მომხდარიყო. ვინც სხვას რასმეს მოელის, თავს იტყუილებს, და აი რატომ:

ტფ. ჟურნალისტებს საზოგადოება არსებითად სიყალბეზეა აგებული და მას როგორც ზნეობრივს იდეურს დაწესებულებას არ შეუძლია სიცოცხლე.

ტფ. ჟურნალისტების საზოგადოება დაარსდა ხაჩატუროვის გაზეთის გარშემო, რომელიც არასოდეს არა ყოფილა ზნეობრივ სიფაქიზის და სიმტკიცის მატარებელი. გაზეთი თუ ჟურნალი ყოველთვის ზნეობრივ ნიადაგზე უნდა იდგეს, მწერალი უნდა მეტყველობდეს მხოლოდ სიმართლისათვის, წერა მათთვის უნდა იყოს მღვდელ-მსახურება და კალამი არ უნდა გაუმრუდოს ანგარებამ და სხვა გარეშე ინტერესმა. თუ ასეთი არ არის მწერალი, ტყუილად ატარებს მწერლის სახელს და ყოველი, ვინც სწერს, თუნდ ჯამბაზსავით ძლიერად ემარჯვებოდეს სიტყვების შეთამაშება ქაღალდზე, მწერალი, ჟურნალისტი როდია.

ამისათვის ვინც ფიქრობს ჟურნალისტების საზოგადოებაში შეაერთოს ყველა მწერალი, ის ხელძღვანელობს მარტო გარეგნული მხარეთი იქ, სადაც უპირველესია და ერთად ერთი შემაერთებელი უნდა იყოს ზნეობრივი თვისება.

ეს ერთი.

მეორე სიყალბე ტფ. ჟურნალისტების საზოგადოებისა მდგომარეობს იმაში, რომ ეს საზოგადოება, რომელიც თავის-თავად რუსული საზოგადოებაა, ცდილობს შეაერთოს სხვა და სხვა ერის ჟურნალისტები, სხვა და სხვა ენის და კულტურის მწერალი, რაიც მისთვის დღევანდელ პირობებში ყოვლად მოუხერხებელია და მეტად მავნებელიც. წარსულ კვირას უკვე ვილაპარაკე ჩვენებურ რუს-ქართველ ჟურნალისტების წინააღმდეგ. ამ გვარსავე გადაგვარებას ემსახურება ჟურნალისტების საზოგადოება—რუსული ენის გაძლიერებას არა-რუს მკვიდრთა შემწეობით და გარდა ამისა ფიქრობს ორის ერთი მეორის მოპირდაპირე, შეურიგებელ ბანაკის შერიგებას, შეთანხმებას.

რას ნიშნავს ჩვენში რუსის ჟურნალისტი და რას ნიშნავს ქართველი ჟურნალისტი, მწერალი?

ერთის განვითარება ნიშნავს მეორეს დაცემას, ერთის გაძლიერება—მეორეს გაღარიბებას, ერთის გაძლიერება—მეორეს დაუძლურებას. რამდენადაც ერთი წინ წავა, იმდენად მეორემ უკან უნდა დაიხიოს; რამდენადაც ერთი მეტს ადგილს დაიჭერს, იმდენად შეუმცირდება ასპარეზი მეორეს...

ეს დღესავით ცხადია, და ამიტომ როგორც წყალი და ცეცხლი ვერ შეერთდება, ამგვარადვე შეუძლებელია ისეთი ინტერნაციონალური კავშირი, როგორიც არის ტფ. ჟურნალისტების საზოგადოება. მას შეუძლიან მხოლოდ ერთს ერს ემსახუროს და როცა ამ ერთს ემსახურება, მეორეს სჩაგრავს და ასეთ მდგომარეობაში ერთობასა და კავშირზე ლაპარაკი ოღონდაც რომ უაზრობაა.

სრულის თანაგრძნობით ვეგებები ყოველს ეროვნულს კულტურას და ღრმად მწამს, რომ კულტურა მუდამ და ყველგან ეროვნულია. ვისაც უნდა იყოს კულტურა, შეეხარი იმას განვითარებას. მაგრამ არა ვსცნობ კულტურას, რომელიც სხვის დაჩაგვრაზე უნდა დაემყაროს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს სხვისი დაჩაგვრა ყალბ ინტერნაციონალურ ბურუსშია გამოხვეული.

**სიტყვა.**

## ნაწყვეტები

**ჩვენი თეატრი**

როდესაც ქართულ თეატრსა და იმის დაქვეითებაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, ათასს მიზეზს მოიყვანენ ხოლმე ამ დაქვეითებისას. ის კი არავის ახსოვს, რომ მიუხედავად ყოველგვარ დაბრკოლებისა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი თეატრის დაქვეითება არის შედეგი საერთოდ ჩვენის ცხოვრების დაქვეითებისა, კიდევ ბევრი რამ არის ჩვენ ხელთ, კიდევ ბევრის გაკეთება შეიძლება. ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენი თეატრის ხელმძღვანელნი ვერ არიან თავიანთ ადგილზე და, რაღა თქმა უნდა, საქმეც ვერ მიდის ხეირიანად. შეიძლება დღევანდელ გამგეობას სურვილი დიდი ჰქონდეს, იქნებ რამე შრომასაც ეწეოდეს, მაგრამ... ნაყოფი-კი არ არის.

გაიხსენეთ დღევანდელი სეზონი ქართულ თეატრისა. რას გვეუბნება ეს სეზონი? რა მისცეს ჩვენი ხალხის ჭკუა-გონებას წელს წარმოდგენილმა პიესებმა? არაფერი. ისევ „ორი ობოლი" და „ორი ჯიბგირი", ისევ „აი, გ.დი მეგობრებო", ისევ „სამშობლო", „პატარა კახი", „კონსტანტინე ბატონიშვილი" და ისევ „ბაგრატ მეთოხე". ერთის სიტყვით, წარმოდგენილ იქმნა ისეთი პიესები, რომელთაგან ზოგიერთი სულ უშინაარსოა, ზოგიერთი დღეს-დღეობით უკვე მოძველებულია, ამიტომ არავისათვის ინტერესს არ წარმოადგენენ და არც ხალხს მიიზიდავენ. მთელი სეზონის განმავლობაში ჩვენი თეატრი ან ფრანგულ მელოდრამებით სცხოვრობდა ან და საქართველოს წარსულით, თუ კი შეიძლება ადამიანმა სთქვას, რომ „ბაგრატ მეოთხე" საქართველოს წარსულს გვიხატავს.

თანამედროვე ცხოვრება ჩვენს თეატრს არ აინტერესებდა. თეატრი კი, რაც ცხოვრებაში ხდება, იმას უნდა გვიხატავდეს, რაც ცხოვრებაში ინტერესს წარმოადგენს, იმაზე უნდა იძლეოდეს პასუხს. კიდევ მეტი,—თეატრი ახალ საკითხებს უნდა აღძრავდეს ხოლმე, როგორც იდეის, ისე ხელოვნების მხრივ. ჩვენი თეატრი? იგი მხოლოდ ძველთაძველ ტრადიციებით სცხოვრობს და რაღა თქმა უნდა, ქართველი საზოგადოებაც გაურბის და ისეთ ადგილას მიდის, სადაც მისი ჭკუა-გონება საზრდოს შოულობს.

ნურავინ იტყვის, რომ ჩვენი თეატრის გაცხოველება არ შეიძლება, რომ ჩვენი თეატრის დაქვეითება გამოწვეულია ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრების დაქვეითებითაო. ძლიერ და ძლიერ შემცდარი აზრია. მართალია, ჩვენი ცხოვრება დაქვეითებულია, ჩამორჩენილია, მაგრამ იგი ნელის, ძლიერ ნელის ნაბიჯით მაინც მიდის წინ. ჩვენი თეატრი კი ისევ იმ ადგილასა სდგას, რომელზედაც ამ 20—25 წლის წინად იდგა...

ამაში დიდი ბრალი თვით თეატრის ხელმძღვანელთ ედებათ.

ამბობენ, ორიგინალური რეპერტუარი არა გვაქვსო. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ნათარგმნ პიესების წარმოდგენა ხომ შეიძლება; ისეთ პიესების, რომელნიც როგორც ხელოვნების, ისე იდეის მხრივ დიდ ინტერესს წარმოადგენენ? კარგ თარგმანთან, კარგ იდეურ და მხატვრულ ნაწარმოებთან კარგი ორიგინალური ნაწარმოებიც გაჩნდება, და აბა „ორ ჯიბგირთან" რა ნაწარმოები უნდა გაჩნდეს, „ორმა ჯიბგირმა" რა გავლენა უნდა იქონიოს ავტორებზე?

მსახიობბი არა გვყავსო. ესეც შემცდარი აზრია. ჩვენ ბევრი ნიჭიერი მსახიობი გვყავს. არიან ისეთებიც, რომელნიც დღეს-დღეობით დიდს არას წარმოადგენენ, მაგრამ თუ კი იშრომებენ, თუ-კი ხელმძღვანელი ეყოლებათ, საგრძნობელ ძალად შეიქმნებიან ქართულ თეატრისათვის. შრომა არ უყვართ ჩვენს მსახიობებსაო. მართალია, მაგრამ რა შრომის სიყვარული უნდა გამოიჩინონ მათ „ბაგრატ მეოთხის" წარმოდგენაში? სურვილიც-კი ეკარგებათ შრომისა. საქმე ისე უნდა დააყენოთ, რომ მსახიობნი თვითონ მიილტვოდნენ შრომისთვის. კარგი პიესები, თუნდ ნათარგმნები, კარგი რეჟისორი შრომას შეაჩვევს არტისტებს, ნიჭსაც განუვითარებს და ხელოვნებასაც შეაყვარებს.

მაშინ ჩვენი თეატრი მაყურებელსაც ბევრს მიიზიდავს, მაყურებელს არა გადაგვარებულს, არამედ მოწინავე ინტელიგენციას და ხალხს, ჩვენი ერის იმ დიდ ნაწილს, რომელიც მისი აწმყო და მომავალია. ამასთან საჭიროა ფასების საგრძნობლად დაკლებაც, თეატრის გადემოკრატება.

ყველა ზემოხსენებულის პატარა დამამტკიცებელი საბუთიც ხელთა გვაქვს. ეს არის წლევანდელი სეზონი ქართულ თეატრისა ქუთაისში. იქ ადგილების ფასს ძლიერ დაუკლეს; კვირაში ერთხელ სრულიად იაფ-ფასიან წარმოდგენების მართვა დაიწყეს; იქ მიიწვიეს არა შესამჩნევი, არამედ ქართულ თეატრისათვის მხოლოდ ჩვეულებრივი რეჟისორი, იქ შეადგინეს დასი, რომელიც სრულიად არა ბრწყინავს შესამჩნევ მსახიობებით (გარდა ნ. ჩხეიძისა); იქ შეიმუშავეს რეპერტუარი, რომელიც დღეს-დღეობით ინტერესს წარმოადგენს, და ხალხიც მიიზიდეს. ვერც ქუთაისის დასი ასცდა ზოგიერთ ძველ პიესის წარმოდგენას ვერც მან შესძლო ზოგიერთ ძველ ტრადიციის დარღვევა. მაგრამ ქუთაისში მოახერხეს და სული ჩაუდგეს საქმეს, ცოცხალი სული. ყველა ეს კი ისე არა ჩვეულებრივია ჩვენი თეატრისათვის, იმდენად აუმჯობესებს საქმეს, რომ მსახიობებიც ბევრს მუშაობენ, ანსამბლიც გვარიანია, მაყურებელსაც მთლიანი შთაბეჭდილება რჩება წარმოდგენიდან. ქუთაისში არასოდეს არა ყოფილა, რომ კვირაში სამი ქართული წარმოდგენა დაედგათ, სამივე კარგად ყოფილიყო ნათამაშევი და სამივეს კარგი შემოსავალი მოეცეს.

აი, რა ჰქნა საქმის რიგიანად დაყენებამ. თუ-კი ქუთაისმა შესძლო ყველა ეს, ტფილისს რაღა დაემართა, რატომ მან-კი ვერ მოახერხა? მოახერხებდა, მაგრამ უნარი ვერ გამოიჩინეს საქმის მოთავეებმა. გაიხსენეთ, ენკენისთვე უკვე თავდებოდა, სეზონი რომ დაიწყო დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ. და იცით, როგორ დაიწყო? სრულიად მოუმზადებლად. მთელი გაზაფხული და ზაფხული თავისუფალი იყო. ამ დროს შეეძლო შეემუშავებინა რეპერტუარი, გადაეთარგმნებინა ახალი და საინტერესო პიესები, მსახიობთა ძალები გაეძლიერებინა ახალთა მოწვევით. მაგრამ გამგეობამ მხოლოდ ენკენისთვის გასულს გამოიბერტყა ყური და მაშინ აბა რაღა გაკეთდებოდა და აკი ვერც ვერაფერი გააკეთა. ამისი შედეგი წლევანდელი სეზონია.

ეხლა შემთხვევამ ტფილისის ქართულ თეატრს ისეთი საგრძნობელი ძალა შემატა, როგორიც არის ვლ. ალექსი-მესხიშვილი. რა თქმა უნდა, მისი დასში მოწვევა თეატრს ინტერეს მოუმატებს, მაგრამ წლევანდელი სეზონი ეხლა თითქმის თავდება და საქმის შეცვლა ეხლა არც ისეთ ნიჭიერ მსახიობს და რეჟისორს შეუძლიან, როგორიც ვლ. ალექსი-მესხიშვილია. მაგრამ შემდეგისათვის მაინც უნდა დაფიქრდეს დრამატიულ საზოგადოების გამგეობა და როგორც-კი ამ სეზონს გაათავებს, მაშინვე შეუდგეს მომავალ სეზონისათვის მზადებას. თუ საქმის გაკეთების უნარს გამოიჩენს, ჩვენი თეატრიც გამოცოცხლდება და მაყურებელსაც მიიზიდავს.

**ახალი.**

## სოფლად

**სამდგილ-მამულო საკითხი.**

სოფლის მოხელეებს მოემატათ ახალი შტატი მოხელეებისა. ეს მოხელეები განაგებენ იმ მამულებს, რომელსაც საგლეხო ბანკი იძენს. ამ მოხელეებს უწოდებენ „მამულის გამგეებს".

იმ მამულის გამგედ, რომელიც კალატოზიშვილებმა საგლეხო ბანკს გადასცეს (დედოფლის მინდორი"), დანიშნულია კოტე ტერიაშვილი. საგლეხო ბანკი სწერდა ბრეთის მამასახლისს: სოფ. წვერზე ირიცხება მამულის იჯარა 1120 მ. 40 კ. და გადაახდევინეო. მამულის გამგე ტერიაშვილი კი წვერელებს სთხოვს 1400 მ., აგრეთვე სოფ. არადეთს საგლეხო ბანკმა შეაწერა 955 მ. 5 კ., მამულის გამგე კი ახდევინებს—1300 მან. მამასახლისმა გამოუცხადა ორთავე სოფელს ის, რასაც ბანკი ითხოვდა, მაგრამ გამგე ჩაციებულია—ზედმეტსა სთხოვს. გლეხებსაც იმდენი გამბედაობა და შნო აღარ შერჩათ, რომ საგლეხო ბანკის ანგარიშით ფული პირდაპირ ბანკში წარადგინონ.

თითო დესეტინაზე ბანკი ახდევინებს 16 მ. 25 კაპ. გლეხები ეხლა ბევრს ნანობენ, რატომ მაშინვე არ შეეცადნენ, ეს მამული შეენარჩუნებინათ. დიდ გაჭირვებაში ჩაცვივდნენ, საგლეხო ბანკის ამოდენა გადასახადს ვერ აუვლენ და ფიქრობენ სხვაგან გადასახლებას. შეძლებული გლეხები არიან, ქვითკირის შენობები უდგიათ და ამოდენა ნაამაგდარს, რასაკვირველია, დიდი რამ გაჭირვება თუ აალებინებს ხელს ან რაიმე განსაცდელი. განსაცდელიც კარს მომდგარია და როგორ დაახსწევს თავს, ალაჰმა უწყის. ან სხვა უკეთ პირობებით მამული უნდა იშოვნონ და გადასახლდნენ, ან არა და ყველაფერი უნდა გადაავონ, რომ ეს მამული შეინარჩუნონ.

საერთოდ ქართლში დიდად შევიწროვდა გლეხობა. ყველა ფიქრობს, მოსძებნოს იმისთანა მამული რომ ცხოვრება შეიძლებოდეს. ამოდენა გადასახდს ვეღარ აუვიდნენ და კახეთისკენ სახლდებიან. ხიზანებისათვის ხომ გაადვილებულია გადასახლება, ისინი შეჩვეულნი არიან, მაგრამ ქართლელი მკვიდრი გლეხიც ეძებს მამულს საცხოვრებლად, თავის მამა-პაპეულს თავს ანებებს და სხვაგან ესახლება. სოფელ კნოლედან, თამარაშნიდან, აბისიდან რამდენიმე კომლი აპირობს გადასახლებას.

ორმოცდა ათი წლის წინად ქართლელ გლეხს 7-10 დღ. ნადელში მიცემული მამული აღარა ჰყოფნის, ეს ნადელი დაქუცმაცებულია რამდენიმე ნაწილად და, აბა, როგორ უნდა აცხოვროს 10-12 სული ადამიანი? მებატონემაც მთელი ჩამონაჭრები ჩამოართვა და ზედ ხიზნები დაასახლა. მათთვის ერთი ფეხის დასადგმელი ადგილიც აღარაა და, რა მეტი ჯანი აქვთ, უნდა სხვაგან მოსძებნონ ადგილი!

საკვირველი ის არის, რომ ისევ განაგრძობენ მემამულეები, თუ კიდევ მოეძებნებათ თავისუფალი ადგილები, ხიზნების დასახლებას. შარშან სოფ. ავლევის წვრიმალა ტყე აქაურმა მემამულეებმა მისცეს ოსებს, ზედ დაასახლეს და სამამულეთ აკეთებინებენ. სოფელ ბრეთში თავ. ავალ ავალიშვილმა დაასახლა ოთხი კომლი ოსი. მისცა 40 დღ. სახნავი. დიდი უსიამოვნება და განხეთქილება ჩამოვარდა ახლად მოსულებსა და ბრეთელებს შორის. სოფ. ფქვენისში თავ. ნიკოლოოზ ალექსანდრეს ძე ამილახვარმა დაასახლა ქეშელთელი ოსები. მისცა მათ 80 დღ. სახნავი მამული, ესენი აპირებენ ამ მამულის შესყიდვას.

* * *

როგორც მოგეხსენებათ, საფალავანდო ტყე, მდიდარი მცენარეულობით, შეიცავს 15000 დესეტინას. შარშან შემოდგომაზე ეს ტყე დაიყო რამდენიმე ნაწილად. ტყეს დიდი ხალხი ახვევია, უფრო-კი ხიზანი-ოსნი. ამ დაყოფამ მფლობელობა და სარგებლობა სრულიად შესცვალა. ვიდრე დაიყოფებოდა საფალავანდო ტყე, ყველა ხიზანი სარგებლობდა ამ ტყით და იხდიდა მახტის ფულს იმის სასარგებლოდ, ვისხიზნადაც ითვლებოდა. დღეს ის ადგილები, რომელიც ხიზნების დასამხრისად იყო და სარგებლოდნენ ამ ტყით, სხვას ერგო და ამ ადგილის პატრონი ხიზნებს ტყეში აღარ უშვებს—ან ტყის ფული უნდა დაადონ ან არა და იმ ტყით უნდა ისარგებლონ, რომელიც თავიანთ მებატონეს ერგო, მებატონის ტყე კი მათ დასამხრისად არ არის.

თითქმის მთელ საფალავანდო ხიზნების ტყით სარგებლობა შეიცვალა. სანამ საერთოდ იყო ტყე, ისე არ ნაღვლობდნენ და ყველა მებატონე თავის ხიზანს სრულ უფლებას აძლევდა ესარგებლნა ტყით. საფალავანდო ხიზნები მებატონეების სასარგებლოდ დღიურ სახნავ მიწაზე იხდიან კოდ-ნახევარ მოსავალს, მახტის ფულს (მუშის ფული) 6-8—10 მან. ან და მუშას 24-18—12.

ხიზნის პროტოკოლებით, ყველა სოფლის ხიზანი უნდა სარგებლობდეს ტყით იმ სოფლის საზღვრებში, რომელ სოფელსაც ეკუთვნის. ამ სოფლებში ხიზნებმა ტყე გასჩეხეს, ეხლა თავიანთ სოფლის საზღვარს გადადიან, მოდიან რამდენიმე ვერსის სიშორეზე, დიდ ხელუხლებელ ტყეში, და, სად ც მოეწონებათ, უკანტროლოდ აფუჩებენ ტყეს. საერთოდ ეს ხიზნები დიდ ზარალს აძლევენ ტყეს. შუაგულ ტყეში 10-20 დესეტინა ადგილს ისარივით ამართულ 20-30 ვერშოკიან ხეებს აცლიან ქერქს, რათა საგაისოდ გახმება და შემდეგ წააქციონ ხეებს თავიანთ მოსახმარად.

სოფ. ბეყმარი, თორმანეული, მაღუდა, საჯვარე, წუნარის არკვნეთი, კროჟის უბანი, სამწყალი, ფრინევი, სხლითი, მუღრისი, ქვათეთრი თუნსეულის წვრიმალა ტყეში თავსდებიან. თუ დიდ ტყეში მოისურვებდნენ, კანტორის ფასიან ქაღალდებს იღებდნენ და მთელი წლით სარგებლობდნენ, ამასთან მახტის ფულსაც იხდიდნენ და იხდიან კოდეც. სოფ. ბიღთა, ჰვრინისი, ფიჰვიგინა, ნაგუთნი, ღ-რისთავი, ჩდილი, ძალინა, თერგვანი, მუხაური, თელაგინა, გადიგინა, ტოტონაური, ლისა, ოჟორა, ხტანა, ღვიაგონა წირბისი და ციხიანი დიდი ტყით თავისუფლად სარგებლობდნენ, მარტო მახტის ფულს ან მუშას იხდიდნენ.

დღეს ყველა ტყის პატრონი ეუბნება ხიზანს: ჩემი ტყით სარგებლობა გინდა, ტყის ფული უნდა გადიხადო, თუ არა და არ შეგიშვებ, წადი შენი ბატონის ტყეში და იქიდან ისარგებლე, ქვემო ქართლი აქ დაიარება და შენ რათ უნდა გაგიჭირდეს შენი ბატონის ტყით სარგებლობა? მაინცა და მაინც ხიზნის პროტოკოლით მარტო შენი სოფლის ტყით უნდა ისარგებლო, ვერც ვერავინ დაგიშლისო. ხიზანი კიდევ უპასუხებს: „ჩემი სოფლის ტყე გაიჩეხა, იქიდან ვეღარას გამოვიტანო".

919 კომლი ხიზანი აქ ითვლება ამ ზემოხსენებულ სოფლებში, თითქმის 4000—5000 დესეტინამდის შეუვალი ტყე წვრიმალს ტყედ აქციეს. რასაკვირველია, ეს ბუჩქნარი მათ არ დააკმაყოფილებს და ხელუხლებელ ტყისაკენ იწევენ, ძალობენ ერთმანეთში პირობა აქვთ დადებული, ან ისევ ძველებურად უკანტროლოდ აფუჩონ ტყე, ანარადა ყოველ შემთხვევაში იძალონ.

საფალავანდო ტყიდან მომდინარეობენ მდ. ფრონეები: ალისა, ლოპანისა, მეტეხისა, ფკისა, დვანისა. მათი სათავეები ამ ტყიდან იწყება და ყველა მემამულე, გლეხი, ხიზანი—მოვალეა გაუფთხილდეს ამ ტყეს, როგორც თავის საკუთარ ბაღჩას, ან ვენახს, რათა მდინარეები არ დაშრნენ. გარდა ამისა, ვოამეტებულად ზემო ქართლი ამ ტყით სარგებლობს ურმისა და მარხილის იარაღით, გუთნისა, კავისა და ყოველ სამეურნეო ხის ავეჯით.

ყოველივე ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ წარა-მარა ტყე არ იჩეხებოდეს. უნდა დამყარდეს წესიერი ტყით სარგებლობა. ხიზანი ოსებიც უნდა დაემორჩილნენ წესსა და რიგს ამ საქმეში. მემამულენი იძახიან, თუ წესიერება არ დამყარდა, იძულებულნი ვიქნებით მამული საგლეხო ბანკს გადავცეთ ან დავაგიროთ რომელსამე ბანკში. ესეც, რასაკვირველია სულ სწრაფობაა.

**Legatus.**

## დეპეშები

ჰეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან. 16 იანვარი.

**სპარსეთი**

**თავრიზი.** დიდი თოვლის გამო ყარადაღში სამხედრო მოქმედება შეჩერებულია.

**არჩევნები ინგლისში**

**ლონდონი.** ნაშუაღამევის $2_{1/2}$ საათამდის აირჩიეს 258 უნიონისტი, 253 ლიბერალი, 40 მუშათა პარტიის წევრი, 74 ნაციონალისტი. უნიონისტებმა მოიგეს 12, ლიბერალებმა 19 ადგილი.

**ლონდონი.** დურხამში არეულობა თან და თან ძლიერდება. არეულობა გამოიწვია არჩევნებმა და სამთა-მადნო მუშების გაფიცვამ. გაფიცულებმა სულ ერთიანად მიანგრმოანგრიეს უნიონისტების სადგომი და ქვანახშირის მაღაროების პატრონის სახლი. მაღაროების პატრონმა დასჭრა ერთი მუშა. გაბრაზებულმა მუშებმა სულ ერთიანად დაამტვრიეს მაღაროების დირექტორის ავტომობილი და შემდეგ ხრამში გადააგდეს. წესრიგის აღსადგენად გამოიწვიეს პოლიციელები.

**ათინა.** მავრომიხაილისის სამინისტრო გადადგა მაშინ, როდესაც სამხედრო ლიგამ მინისტრ-პრეზიდენტს უგულწრფელობა და უნიჭობა დასწამა. გენერალმა ზორბასმა მინისტრ-პრეზიდენტს განუცხადა, სამხედრო ლიგა სამინისტროს გადადგომას თხოულობსო. სამხედრო ლიგამ რალლის და თეოთიკისს სთხოვა, ხელი შეეწყონ ახალ სამინისტროს ბიუჯეტის და სესხის შესახებ კანონ-პროექტის დამტკიცებაში. ამას გარდა რალლის და თეოთიკისს სთხოვენ, შეუდგნენ ეროვნულ კრების მოწვევის მოწყობას, რომლის პროგრამმას მეფე და დეპუტატთა პალატა შეიმუშავებს. რალლი და თეოთიკისი დასთანხმდნენ ლიგის წინადადებას. ხმა დადის, ახალი სამინისტროს შედგენა დრაგუმისს მიენდო, ახალ სამინისტროში ზორბასი სამხედრო მინისტრობას იკისრებსო. მთავრობის წრეებში ირწმუნებიან, რომ მთავრობამ მეფეს ურჩია ეროვნულ კრებას ნუ მოიწვევთ, რადგან ამ კრების მოწვევა სახიფათო და უდროოაო. სამხედრო ლიგის წევრები აცხადებენ, ჩვენ მაინც და მაინც

დაჟინებით არ მოვითხოვთ ეროვნულ კრების მოწვევას და ყველაფერში პარტიების ლიდერებს დავემორჩილებითო.

**პარიზი.** სენა თანდათან მატულობს იუსტიციის სამინისტროს სადგომი წყლით აივსო. დეპუტატები პარლამენტში ნავებით დადიან.

**პარიზი.** დიპლომატიურ წრეებში ხმა დადის, საფრანგეთი და ოსმალეთი საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ ტრიპოლის საზღვარი აღინიშნოსო.

**ბუდაპეშტი.** დეპუტატთა პალატამ უნდობლობა გამოუცხადა ხედერვერის სამინისტროს. ხედერვერმა განაცხადა: უნდობლობის გამოცხადების შემდეგ ორი გზა-ღა დამრჩენია: სამინისტროს გადადგომა, ან დეპუტატთა პალატის დათხოვნა. მე არ შემიძლიან ეხლავე რაიმე გზის დავადგე. შემდეგ ხედერვერმა წაიკითხა იმპერატორის რესკრიპტი, რომლითაც დეპუტატთა პალატის სხდომები 11 მარტამდის უნდა გადაიდოს. რესკრიპტის წაკითხვამ დეპუტატებში დიდი აურ-ზაური გამოიწვია. დეპუტატთა პალატამ მიიღო გრაფ ბატტიანის რეზოლიუცია. რეზოლიუციაში ნათქვამია: მთავრობამ კონსტიტუცია დაარღვია, რადგან ბიუჯეტის დამტკიცებამდე, პალატის სხდომები გადასდო, ამიტომ მთავრობას უფლება არა აქვს მოკრიფოს გადასახადები, აიღოს სესხი და ჯარში ახალგაზდები გაიწვიოსო.

**პარიზი.** ტიულიერის სადგური და კურსელი და ლე-ვალუას გვირაბები სულ წყლით გაივსო. დაიღუპა რამდენიმე კაცი.

**ქრისტიანია.** მეფემ სამინისტროს შედგენა მიანდო სტორტანგის პრეზიდენტს კონოვს. კონოვმა თანხმობა განაცხადა.

**ბერლინი.** ოფიციალურის ცნობით გერმანიის უნივერსიტეტში 1858 რუსი სტუდენტი სწავლობს.

ჰაერში ფრენა

**კაირი.** თავის ჰაეროპლანით გაფრინდა ლატამი. 40 მეტრის სიმაღლედან ჰაეროპლანი საშინელის სისწრაფით ძირს ჩამოვარდა. ჰაეროპლანი სულ დაიმტვრა. ლატამი გადარჩა.

**მურმელონ-ლე-გრანი.** გაფრინდა რუსი ავიატორი ეფიმოვი. ეფიმოვმა 50 წუთი იფრინა.

რ უ ს ე თ ი

**ცარიცინი.** ქალაქის შუაგულ ალაგას სულ ერთიანად ამოსწყვიტეს აზნაურ შჩუკას ოჯახი. მოჰკლეს: შჩუკა, მისი ცოლი და მათი ხუთი შვილი, 4—11 წლისანი. მკვლელი შჩუკას პირველი ცოლის შვილია.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭოს მიერ მოწონებულ ახალ საუნივერსიტეტო წესდების ძალით უნივერსიტეტის დიპლომი ნებას აძლევს ამა თუ იმ პირს იძიოს სამეცნიერო ხარისხი. პროფესიონალურ, წოდებრივ და სამსახურის უფლების მოსაპოვებლად დაწესებული იქნება სახელმწიფო ეგზამენები. ამას გარდა, უმაღლეს სასწავლებლებში შემოღებულ იქმნება საფაკულტეტო ბოქაულების თანამდებობა. ბოქაულების მოვალეობა იქნება თვალყური ადევნონ, რომ სტუდენტებმა უნივერსიტეტის სადგომში განსაზღვრული წესრიგი დაიცვან. დამტკიცებულია უნივერსიტეტების შტატები. სასურველად იქმნა აღიარებული, რომ პროფესორებს პენსია მოემატოთ.

რიგოვის მაღაროებში ხოლერით ავად გახდა 5, გარდაიცვალა 1, ავად არის 6 კაცი.

**ახალი ბუხარა.** დილით ემირის მემკვიდრემ სუნიტების და შიიტების სამღვდელოების მეთაურობით მიიღო მაჰმადიანების დეპუტაცია. დეპუტაციამ მემკვიდრეს მოახსენა, რომ შევრიგდით და არეულობა აღარ განმეორდებაო. დეპუტაციამ აგრეთვე ინახულა პოლიტიკურ საგენტოს გამგე რეშეტოვი და გენერალი ლილიენტალი და სთხოვა მოახსენონ ხელმწიფე-იმპერატორს მათი გულწრფელი მადლობა რომ კეთილ ინება და ჯარი გამოგზავნა მშვიდობიანობის დ. სამყარებლად. შემდეგ დეპუტაცია გამოვიდა მოედანზე და ხალხს აუწყა მშვიდობიანობის ჩამოგდება და შერიგების ნიშნად სუნიტებისა და შიიტების სამღვდელო პირებმა ერთმანეთი გადაჰკოცნეს. მცხოვრებლების თხოვნით ემირის მემკვიდრემ დაითხოვა კუშბეგი და მისი მოხელეები.

**პეტერბურგი.** სამოსამართლო პალატამ გაარჩია პეშეხონოვის საქმე. ბრალდებოდა ჟურნალ „ნაროდნო-სოციალისტიჩესკ. ობოზრენიას" და წიგნ „მშრომელი ხალხი"-ს გამოცემა. პალატამ პეშეხონოვს ერთი წლით დაპატიმრება გადაუწყვიტა.

სამხედრო სასამართლომ განიხილა ოთხი სალდათის საქმე. ბრალდებოდათ ზარბაზნის მოპარვა. სასამართლომ გადაუწყვიტა: ორს ექვს-ექვსი წლით და ორს — ოთხ-ოთხი წლით კატორგა.

სენატმა უყურადღებოდ დასტოვა სმოლენსკის ოლქის სასამართლოს პროკურორის პროტესტი ამავე სასამართლოს განაჩენზე, რომლითაც სასამართლომ გამართლა ვიაზემის გიმნაზიის მოწაფეთა ერთი ჯგუფი. ბრალდებოდათ მძარცველთა ბრბოს შედგენა.

სინოდმა სამეცნიერო კომიტეტს მიანდო სასულიერო სასწავლებლების და სემინარიების პროგრამების და წესდების გადასინჯვა. ამასთანავე სინოდმა სამეცნიერო კომიტეტს აცნობა, რომ სასულიერო სასწავლებლებში შემსვლელთა მეტი ცოდნა მოეთხოვებათ, სემინარიებში, უსათუოდ 1 წლის კურსი, და სასულიერო სასწავლებლებში 7 კურს. უნდა დარჩეს და სადვთისმეტყველო საგნების შემცირება ყოვლად შეუძლებელიაო.

**გელსინგფორსი.** სენატორმა კოტენმა უარი განაცხადა ფიცზედ. პროკურორმა პროტესტი განაცხადა.

**ოდესსა.** ხელ მეორედ გაიფიცნენ საადმირალოს მუშები, რიცხვით 5171 კაცი. გაფიცულები თხოულობენ ერთი ხელოსნის დათხოვნას. საადმირალოს გამგეობას გადაწყვეტილი აქვს, თუ მუშები ვერ დაიყოლია, დიდი ხნით შეაჩეროს მუშაობა.

**სკობელევი.** პოლიციას და სამ ყაჩაღს სროლა მოუხდათ. პოლიციელებმა მოჰკლეს ორი, მძიმედ დასჭრეს ერთი ყაჩაღი.

# ქართული საისტორიო მწერლობა

(შემდეგი*)

იოანნე საბანის ძის დროს, როგორც აღვნიშნეთ, პირველად დაეტყო ქართულ საეკლესიო მწერლობას ეროვნული მიმართულება. მაგრამ, საზოგადოდ, ეროვნული გრძნობა და ეროვნული თვით-შემეცნება ყოველთვის ძლიერდება მაშინ, როდესაც არის ბრძოლა და მეტოქეობა ერთა შორის. მას შემდეგ, რაც მოხდა განხეთქილება ქართველთა და სომეხთა ეკკლესიებს შორის, ბრძოლა და პაექრობა (დისპუტი) ამ ორ ერის სამღვდელოების წრეებში მეთორმეტე საუკუნემდე არ შეჩერებულა. თვითეულ მხარეს სურდა თავის მოპირდაპირისთვის დაემტკიცებინა, რომ მხოლოდ თვითონ არის მართალი და მისი მოწინააღმდეგე კი ყველაფერში მტყუანია რაც უფრო დრო გადიოდა, მით უფრო ძნელდებოდა ამ ორი ერის საზოგადოებისა და სამღვდელოების ქართლის და სომხეთის ეკკლესიათა განყოფის შესახებ საჭირო და პაექრობის დროს გამოსაყენებელი ცნობები ჰქონოდა. სწორედ ამ მოთხოვნილებამ შეჰქმნა ისეთის საისტორიო თხზულებების დაწერის საჭიროება, რომლებშიაც თვითეულ მხარეს შესძლებოდა პაექრობისთვის გამოსადეგი ცნობები მოეპოვებინა. ბრძოლა ქართლისა და სომხეთის სამღვდელოების შორის უმთავრესად ორ საკითხზე უნდა ყოფილიყო დამყარებული: 1. როდის და როგორ მოხდა ქართლისა და სომხეთის ეკკლესიის გაყოფა და 2. როდის, როგორ და ვის მიერ მიიღო თვითეულმა ერმა მართმადიდებლობა. პირველ საკითხის საპასუხო თხზულებად ქართულ მწერლობაში უნდა ჩაითვალოს არსენ კათალიკოსის „განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა". სომხურ მწერლობაში კი **უხტანესის** „ისტორია". ამის გამო ორისავე ავტორის თხზულება უფრო საპაექრო და საპოლემიკო ნაწარმოებია, ვიდრე საისტორიო. არსენ კათალიკოსი ამტკიცებს, რომ ქართულმა ეკკლესიამ კი არ უღალატა მართლმადიდებლობის, არამედ სომხეთის ეკკლესიამ, იმიტომ, რომ გრიგოლ განმანათლებელმა საქრისტიანო მოძღვრება კესარიაში შეისწავლა, ხოლო კესარიაში „ბერძნული" სარწმუნოება იყო გავრცელებული, მაშასადამე, მას მხოლოდ იმ სარწმუნოების ჩანერგვა შეეძლო სომხეთში, რომელიც თვით საბერძნეთში იყო გაბატონებული, ე. ი. ქალკედონის მსოფლიო კრების აღსარება. პაექრობის დროს ხშირად უნდა ჩამოვარდნილიყო ლაპარაკი, როგორც ეს არსენ კათალიკოსის თხზულებიდანაცა სჩანს, თუ ვის მიერ არის გავრცელებული ქრისტიანობა საქართველოში და სომხეთში. ამ საკითხის შესახებ ცნობები მოიპოვება ქართულ მწერლობაში **შატბერდისეულ** „წმ. ნინოს ცხოვრებაში", ხოლო სომხურში **აგათანგელის** „გრიგოლ განმანათლებელის ცხოვრებაში".

შატბერდისეული „წმ. ნინოს ცხოვრება" ამტკიცებს, რომ საქართველოს ერთად-ერთ განმანათლებლად ნინო იყო, რომ არც ერთი მოციქული, ნინოს გარდა, „ღვთაებას არ მოუვლენია საქართველოს განმანათლებლად", რომ საქართველო მე-IV-ე საუკუნეში, რომელმალაც ტყვე ქალმა (captiva guaedam) გააქრისტიანა და ეს უეჭველი საისტორიო ფაქტია. ამას მოწმობს თანამედროვე რომაელი ისტორიკოსი **რუფინი**, რომელიც მოგვითხრობს ამ ამბავს ბაკურ მეფის სიტყვით, იმ მეფის სიტყვით, რომლის დროსაც სწორედ ეს „მოქცევა" მომხდარა.

ცხადია მხოლოდ, რომ შატბერდისეული, ვითომ და დამატებითი ისტორიული ცნობები, რომლებიც შეეხება წმ. ნინოს შთამომავლობასა და მშობლების თავ-გადასავალს, შეთხზული და სრულებით სიმართლეს მოკლებულია.

ეროვნულ თვით-შემეცნების ზრდას, უეჭველია, უნდა საერო, სამოქალაქო ცხოვრებაშიაც ეჩინა თავი. შესაძლებელია, წარმართობის დროსაც ყოფილიყო ქართული საისტორიო ნაწარმოებები, მაგრამ სამღვდელოება უარჰყოფდა ყოველ-გვარ წარმართობის დროინდელ ნაწარმოებს და იმ-დროინდელ ყოფა-ცხოვრების ხსოვნის დახშვასაც კი სცდილობდა. ამიტომ ჯერ-ჯერობით უძველეს ქართულ სამოქალაქო საისტორიო ნაწარმოებად უნდა ითვლებოდეს „მოქცევა ქართლისა". ეს საბუთი იმ სახით, რა სახითაც ჩვენამდის მოაღწია, შეუძლებელია მეცხრე საუკუნეზე ადრე იყოს შედგენილი. მაგრამ, როგორც ეს ახლად ნაპოვნ ჭელიშის ამავე თხზულების რედაქციიდანა სჩანს, (იხ. „ძველი საქართველო" I, გამოც. საისტორ.-ეტნ. საზ.). ამ თხზულების შემადგენელს ხელთა ჰქონია ძველი წყაროები, რომლებშიაც, როგორც ეტყობა, უფრო მეტი და უფრო შინაარსიანი ცნობები უნდა მოიპოვებოდეს, ვიდრე თვით „მოქცევა ქართლისა"-ის ავტორს ამოუღია. ამიტომ ჩვენ უფლება გვაქვს იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალში ეს უძველესი თხზულებებიც აღმოვაჩინოთ. „მოქცევა ქართლისა"-ის ქრონიკის ავტორს განზრახვა ჰქონდა, დაეწერა საზოგადო ქართლის ისტორია ალექსანდრე მაკედონელის დროიდან დაწყებული. ამაზე შორს იმისი კვლევა-ძიება ვერ მიდის და თვით ქართველ ერის ისტორიაც მას გასაოცარის გულ-უბრყვილობით წარმოუდგენია. უმეტეს შემთხვევაში ამ თხზულების ცნობები ჩვენთვის თითქმის სრულებით გამოუსადეგარია. ამ თხზულების არსებობა ამტკიცებს, რომ ქართველ განათლებულ წრეებში არსებობდა სურვილი, თავის მშობელ ერის უძველესი ისტორიული ბედ-იღბალი გაამოერკვია.

292 წელს ბაგრატ მეფეს დაუწერია „ცხოვრება აფხაზთა", რომელიც მოხსენებულია „ქართლის ცხოვრება"-შიაც. ამ თხზულებაშიაც აღწერილი ყოფილა აფხაზთა 22 მეფის მოღვაწეობა, და როგორც ეტყობა, მე-17 საუკუნეში ჯერ კიდევ არსებობდა ეს ისტორია და აქედან აქვს სწორედ ამოღებული **დოსითეოს პატრიარქს** აფხაზთა მეფეების შესახები ცნობები. სამწუხაროდ, ეს ისტორია მას შემდეგ დაკარგულად ითვლება და ჯერაც ვერავის უპოვნია. როგორც ეტყობა, „აფხაზთა ცხოვრება" მეტად შინაარსიანი და ძვირფასის ცნობებით აღსავსე ყოფილა.

ჩვენ მოგვეპოვება აგრეთვე ბაგრატიონთა გვარის საერთო ცხოვრების და მოღვაწეობის აღწერილობა შემდეგის სათაურით: „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა ჩვენ ქართველთა მეფეთა თუ სადათ და ოდეს მოიწივნეს ქვეყანასა ჩვენსა". ეს თხზულება ეკუთვნის ისტორიკოსს **სუმბატ დავითისძეს** და გამოცემულია ექ. თაყაიშვილის მიერ ორჯერ „სამი ისტორიულ ქრონიკა"-ში და „მარიამ დედოფლის ქართლის ცხოვრებაში". ეს საისტორიო წყარო დამყარებულია განსაკუთრებით ბაგრატიონთა საგვარეულო მატიანეზე, რომელიც შეიცავდა აუარებელ ქრონოლოგიურ ცნობას. ამ მხრივ სუმბატ დავითისძის ნაწარმოებს, როგორც ქრონოლოგიურ ცნობათა წყაროს, ქართულ ისტორიულ მწერლობაში ტოლი არა ჰყავს. სუმბატ დავითისძის ქრონიკა სრულის ნდობის ღირსია და უცხოელ ისტორიკოსთა ტომებთან შედარებით საუცხოვოდ მტკიცდება მისის ნაწარმოების ცნობები. ავტორს სურდა თავის თხზულებით დაემტკიცებინა, რომ ბაგრატიონთა გვარი დავით წინასწარმეტყველის ჩამომავალი იყო და სურდა აღეწერა მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა საქართველოში. სუმბატ დავითისძე აზნაურთა მოწინააღმდეგე და მეფეთა პოლიტიკის მომხრე.

პოლიტიკურადა და კულტურულად რაც უფრო იზრდებოდა საქართველო, „მოქცევა ქართლისა"-ს ავტორის შეხედულება ქართველ ერის უძველეს ხანის ისტორიის შესახებ აღარ დააკმაყოფილებდა იმ დროინდელ მოთხოვნილებას. ამ ნაკლს ავსებს **ლეონტი მროველის** ნაწარმოები: „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამამთავართა და ნათესავთა" ამ თხზულებაში ქართველის ერის ისტორია იწყობა უძველეს დროიდანვე, ნოეს ძის იაფეტის შვილის შვილის თარგამოსისაგან. ლეონტი მროველს სურდა გამოერკვია ჯერ ეს ერთი ქართველების უძველესი ისტორია და საქართველოში მეფის უფლების დამყარების ისტორია, აგრეთვე—თუ როგორ და როდის გაჩნდა ქართული ენა, როგორ და როდის დამყარდა საქართველოში წოდებრივი უსწორ-მასწორობა. მართალია, თანამედროვე ისტორიის მკვლევარისთვის ამ ავტორის თხზულებას უძველეს ხანის შესასწავლად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც წყაროს, მაგრამ ამისდა მიუხედავად მეტად ძვირფასი დამახასიათებელი საბუთია იმისა, რომ ამგვარი საკითხები აინტერესებდა ქართველ განათლებულ საზოგადოებას მე-10-11 საუკუნეში. შეუძლებელია ლეონტი მროველს ეცხოვრა მე-10-11 საუკუნეზე უფრო ადრე, იმიტომ რომ მისი ისტორიული თხზულება დამყარებულია „მოქცევა ქართლისა" და შატბერტისეულ წმ. ნინოს ცხოვრებაზედ: (ლეონტი მროველის თხზულება მოქცეულია მარიამ დედოფლის ქართლის ცხოვრებაში). ლეონტი მროველიც, სუმბატ. დავითისძის არ იყოს, იცავს მეფის პოლიტიკას აზნაურთა წინააღმდეგ, საქართველოს ისტორიის ძველ ხანასვე აღგვიწერს **ჯუანშერი**, „ვახტანგ გორგასლანის ცხოვრებისა ავტორი. (ესეც „მარიამ დედოფლის" ქართლის ცხოვრებაშია შენახული) ჯუანშერი რასაკვირველია არც თანამედროვე ყოფილა ვახტანგ გორგასლანისა, არც არჩილ მეფის ნათესავად ჩაითვლება. მის ნაწარმოებში მოიპოვება რამდენიმე ადგილი, რომლიდანაც ცხადადა სჩანს, რომ ჯუანშერს უეჭველია უნდა მე-11 საუკუნის მეორე ნახევარში ეცხოვრა. ამის გამო ავტორს შეუძლებელია საჭირო ცნობები ჰქონდა ვახტანგ გორგასლანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. და მის თხზულებას ზღაპრული ხასიათი უფრო აქვს, ვიდრე ისტორიული. ჯუანშერის ნაწარმოებში ზღაპრული ელემენტი ისე უხვად არის ჩაქსოვილი, რომ მკვლევარს უნებლიეთ ებადება აზრი, იქნებ აქ შეცდომით შეტანილი იყოს ის თქმულებები ვახტანგის ღვთაების შესახებ, რომელსაც მოსე ქორენელის სიტყვით ქართველები თაყვანს სცემდნენ და ცეკვა სიმღერით ამკობდნენ ხოლმე. ჯუანშერის თხზულებაც თანამედროვე ისტორიკოსისთვის ვახტანგ გორგასლანის დროის ხანის შესასწავლად სრულებით გამოუსადეგარია, თუ მას სურს დასწეროს ქართველ ერის ჭეშმარიტი და არა ზღაპრული ისტორია.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „დროება" N 11.

# ახალი ამბავი

ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ჯარიმა.** როგორც „ნოვაია რეჩი" გადმოგვცემს, ტფ. გუბერნატორის განკარგულებით ჩვენი გაზეთის რედაქტორ გამომცემელი ხუთი თუმნით დაჯარიმებიათ.

✦ **თავის მოკვლა.** 16 იანვარს, ნაშუადღევის 2 საათზე მიხეილის პროსპექტზე თავი მოიკლა ელისავეტოგრადის კავალერიის სასწავლებლის იუნკერმა თავ. ირაკლი ნიკოლოზის ძე ამირაჯიბმა. პოლიციის ცნობით, საქმე ასე მომხდარა: თავ. ამირეჯიბი ერთ სამხედრო ექიმთან ერთად გორგიჯანოვის რესტორანში იყო. აქ ისხდნენ აგრეთვე აფიცრები და როდესაც შენიშნეს თავ. ამირეჯიბი, ლაპარაკი ჩამოაგდეს იმის შესახებ, რომ თავ. ამირეჯიბს ნება არა აქვს რესტორანში ყოფნისა. რესტორანის გამგემ მარტიროზოვმა უბნის ზედამხედველი შეიწვია და მისი პირით თავ. ამირაჯიბს სთხოვა, გასულიყო რესტორანიდან. მარტიროზოვმა ესევე ამბავი ტელეფონით საკომენდანტო სამართველოს აცნობა. საკომენდანტოდან მოვიდა აფიცერი, რომელმაც იუნკერს წინადადება მისცა გაჰყოლოდა საკომენდანტო სამართველოში. უკანასკნელმა შეასრულა ეს ბრძანება. როდესაც ქუჩაში გამოვიდნენ, რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ თავ. ამირეჯიბმა გაისროლა რევოლვერი და თავი მოიკლა. მოკლულს ჯიბეში აღმოაჩნდა ბარათი, რომელშიაც რუსულად ეწერა: „ჩემს სიკვდილში ბრალს ნურავის დასდებთო".

✦ **რედაქტორის განთავისუფლება.** ციხიდან გაუნთავისუფლებიათ „ლამპრის" რედაქტორად ნამყოფი კ. თავართქილაძე, რომელმაც ციხეში წელიწად ნახევარი დაჰყო,

✦ **განყოფილებათა ანგარიშები.** წ.-კ. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ მისწერა განყოფილებებს, ორი კვირის განმავლობაში მთავარ გამგეობას გამოუგზავნონ განყოფილებათა 1909 წლის ანგარიშები. განყოფილებებმა უნდა გამოგზავნონ აგრეთვე შემოსავლის 20%, თანახმად ინსტრუქციის მე 4 მუხლისა.

✦ **ქალაქის საბჭო.** ტფ. ქალაქის საბჭოს ხვალ, 18 იანვრის სხდომაზე განსახილველად წარედგინება 13 ძველი და რამდენიმე ახალი საქმე.

✦ **სამხატვრო განათლება.** 16 იანვარს მოხდა სხდომა ტფ ქალაქის პირველ-დაწყებით სკოლების მასწავლებლებისა. სახელოსნო სასწავლებლის გამგემ წაიკითხა მოხსენება პირველ დაწყებით სკოლებში სამხატვრო განათლების საჭიროების შესახებ. დამსწრეთ მოიწონეს და აირჩიეს კამისია და დაავალეს შეიმუშაოს ამ საქმის გეგმა.

✦ **თეატრი და ცხოვრება.** დღეს გამოვა მესამე ნომერი ქართულ ყოველ-კვირეულ ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება".

✦ **მუხრანის ხიდი.** სორმოვის ქარხნის წარმომადგენელმა გუშინ ტფ. ქალაქის გამგეობას სთხოვა, შემოწმებულ იქნეს მუხრანის ხიდის რკინის უკვე დამთავრებული ნაწილები. რკინის ნაწილების შემოწმებაზეა დამოკიდებული ხიდის დამთავრების საქმე.

✦ **ინსტრუქტორები ბელგიიდან.** ტრამვაის დირექტორს ბატაილს ბელგიიდან ორი ინსტრუქტორი დაუბარებია, რომელთაც ადგილობრივ ვატმანებს უნდა ასწავლონ ტრამვაის დატარება. (ნ. რ.).

✦ **„საქართველოს მოამბე".** დღეს გამოვა მორიგი მეთორმეტე ნომერი ყოველ კვირეულ ჟურნალ „საქართველოს მოამბისა" შემდეგის შინაარსით: „ქართული თეატრი ტფილისში"—ნამისა; „რა რიგ მიყვარდი..."—ი. გრიშაშვილისა; „ბასი"—ა. ფრონელისა; „შინაური მიმოხილვა"—* * *; * * * ლექსი—ლევ. მეტრეველისა; „სარდაფში"—მ. გარიყულისა; „მოკლე მიმოხილვა ქართულ მწერლობისა"—იპ. ვართაგავასი და „ცხოვრება", რომანი—მოპასანისა.

✦ 15 იანვარს ვოგზლის ქუჩაზე „ზოლოტოი იაკორის" სასტუმროში დააპატიმრეს ვლადიმერ ცხვარაძე, რომელიც საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ თავის ნებით დაბრუნებულა.

მტკვრის პირად, საინჟინერო ქუჩის მხრიდან, პოლიციამ ნახა გვამი უცნობად გარდაცვალებულ კაცისა. გვამი სავადმყოფოში წაასვენეს. გაჩხრეკის დროს პოლიციის მე-12 ნაწილში დააპატიმრეს 9 უპასპორტო კაცი.

ქ უ თ ა ი ს ი

✦ **სადილი.** ქუთაისში სენატორ ვეტჩინს ჩამოსვლის გამო 11 იანვრისათვის დანიშნული ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა 18 იანვრისათვის გადაიდო; 11 იანვარს კი ქალაქის გამგეობამ და თავად-აზნაურობამ საპატიო სადილი გაუმართეს სენატორს საზოგადო საკრებულოს დარბაზში, რომელზედაც მოწვეული იყო 140-მდე კაცი. ოფიციალურ სადღეგრძელოებს გარდა, არავის არაფერი უთქვამს.

✦ **ნინოობა.** 14 იანვარს ქუთაისის სასწავლებლებმა იუქმეს წმიდა ნინოს დღესასწაული.

✦ **ოპერაცია.** ქალაქის გამგეობის წევრს ი. ს. ფანცხავას ბრმა ნაწლავის ოპერაცია გაუკეთეს. ოპერაციამ კარგად ჩაიარა.

✦ **საღამო.** 12 იანვარს სტუდენტების დამხმარე საზოგადოების სასარგებლოდ ე. ნ. ხეჩინოვის მიერ გამართულმა საღამომ კარგად ჩაიარა. წმინდა შემოსავალი დარჩა 450 მანეთამდე. პირველი საჩუქარი (ოქროს საათი, 45 მანეთად ღირებული) მიიღო პ. ს. მეფისაშვილმა.

✦ **დადეშქელიანის წასვენება.** 12 იანვარს წაასვენეს ქუთაისიდან ვერაგულად მოკლული ა. თ. დადეშქელიანი. რკინის გზის სადგურამდის ცხედარს დიდძალი საზოგადოება გაჰყვა. სენაკის სადგურამდის ცხედარს მატარებლით წაასვენებენ, შემდეგ კი ხან ეტლით და ხანაც ხელით. 80 ვერსზე მეტი მანძილი სულ ხელით უნდა წაიღონ ცხედარი სვანეთში. ცხედარს თან მიჰყვებიან განსვენებულის ძმები ოთარ და ჯანსუყ დადეშქელიანები, რომელთაც სამი მიცვალებული ჰყავთ დასასაფლავებელი: ალექსანდრე, თათარხანი და ბექირბეი დადეშქელიანები...

✦ **ლექციები ქუთაისში.** ამ მოკლე ხანში პეტერბურგიდან ქუთაისში ჩამოვა ახალგაზრდა რუსი ლიტერატორი იოსებ აშკინაზი (ავტორი წიგნაკის „ქალი და ადამიანი"). ქუთაისში წაიკითხავს იგი ერთს საჯარო ლექციას რუსულ ენაზე: „ლეონიდ ანდრეევი და მისი ანათემა". ეს ლექცია პირველად წაიკითხა მან მოსკოვის ლიტერატურულ-მხატვრულ წრეში, სადაც დიდი აურ-ზაური გამოიწვია. ლექციის წინ გრიგოლ რობაქიძე წაიკითხავს რუსულად „ანათემის" მოკლე განხილვას. გარდა ამისა, ამ მოკლე ხანშივე გრ. რობაქიძე წაიკითხავს ქართულად საჯარო ლექციას ამ თემაზე: „რელიგია მშვენიერებისა". ეს ლექცია ეხება ინგლისელ მწერალს ოსკარ უაილდს. თავის დროს ვაცნობებთ მკითხველებს თეზისებს ამ ლექციისას. ლექტორები თავიანთ ლექციებს გაიმეორებენ ტფილისში.

# კუდიანი ვარსკვლავი (კომეტა) ჩვენს ცაზე

ვინ იცის, ჯერ კიდევ რამდენს არ შეუმჩნევია მსოფლიოს საამოცანო მხარედან უცნაურად მოვლენილი სტუმარი, კუდიანი ვარსკვლავი, როგორც ხალხს მოუნათლავს იგი.

დაე, თავზეხელაღებულად მოარულნი დაუშურნენ, ასწიონ თავი მაღლა სადამოს ექვსი საათის შემდეგ, თვალი მიაპყრონ დასავლეთს და იქ, ცის სივრცეში, თვალთ-მომხიბვლელ სილამაზით მომცურავე ცისკრის (ვენერას) მარცხნივ, ჩრდილოეთით, დაინახავენ ეგრედ წოდებულ კუდიან ვარსკვლავს, რომელიც თუ მომხიბვლელობით ჩამოუვარდება ცისკარს, სამაგიეროდ, უცნაურობით, მოულოდნელობით ბევრით აჭარბებს იმის სილამაზეს. შეხედეთ ნისლიან შუქს, მცირე წერტილით დაწყებული როგორ იზრდება, ფართოვდება, მიდის შორს და იქვე ქრება ცის ერთფეროვნებაში-უგზო-უკვლოდ, თვალთ-მიუწვდომლად...

ამ მატერიალურად მოვლენილ მსოფლიო ამოცანაში რა ნათლად გამოიხატება ყველაფერი ის, რაც იქმნება, ვითარდება და ჰქრება, რომლის წინაც მომაკვდავი ვერა ჰხედავენ თვალით ვერაფერს და შემდეგიც არა რჩება არაფერი კვალი.

ჩვენ მიწიერთა მეცნიერებს რამდენიმე კუდიანი ვარსკვლავი უკვე გაცნობილი ჰყავთ და ერთ მათგანის „კალდის" სტუმრობას ელოდებიან კიდეც აპრილის ბოლოს.

მაგრამ საცნობებზე უცნობნი ათასჯერ და მილიონობით უფრო მეტნი არიან. და, აი, ერთი ამ უცნობთაგანიც ეს მოულოდნელად გვესტუმრა ეხლა, რომ რამდენიმე დღეს, სადამოს ჟამზე, აკურთხოს დედამიწა თავის შუქით, გაათლოს ხალხი, მოეჴიბლოს მათი თვალი და მერე ისე გაჰქრეს უგზოუკვლოდ და იქ ჩვენის თვალის მოშორებით მიესალმოს სამყაროს სხვადა სხვა ქვეყანას, გაუქროლოს გვერდზე და ბოლოს გადაკვარდეს, გაჰქრეს ისევე უმიზნოდ (ჩვენის წარმოდგენით, რასაკვირველია), როგორც წარმოიშვა.

ეს ვარსკვლავი თავის სახით შედარება იმ კუდიან ვარსკვლავს, რომელიც უჩვენია 1811 წელს. იგი ერთ-კუდიანია. იწყება სამხრეთიდან ვარსკვლავთა კრებულის „სამკუთხედან" (Водолей), ისრება რკალივით ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, გვერდს გაჰკრავს ვარსკვლავთ კრებულ „რაშის ოთხკუთხის" (Квадрать Пегаса) სამხრეთით მდებარე ორ ვარსკვლავს და ჰქრება შემდეგ უბრალო თვალისთვის.

ერთმა ნაცნობმა მითხრა, თითქოს 12 იანვარს შეამჩნიოს ეს კუდიანი ვარსკვლავი. 13 და 14-ს ბევრი ვუცქირე ცას, მაგრამ მას თავით-ბოლომდის გადაჰფარებოდა ღრუბლები, ეს შავი ფიქრები დედამიწისა, და თვალს ნებას აღარ აძლევდა ეხილა იშვიათი და უცნაური მოვლენა ბუნებისა. ამდენი არას დროს არ მიწევდა ეს შავი „ფიქრები", რამდენიც ამ დღეს, და ღირსიც იყვნენ.

სამაგიეროდ, 15 იანვარს საუცხოვოდ მოსჩანდა ყველაფერი და თვალიც სტკბებოდა. ყველაზე გასაოცარი ამ კუდიან ვარსკვლავში სწორედ მისი კუდია, რომლის შესახებაც ასტრონომია ჯერ ვერც ერთ გადაწყვეტილ აზრს ვერ დასდგომია. ერთნი ამბობენ, რომ იგი მატერიალურ სახისაა, მეორენი კი ამტკიცებენ წინააღმდეგს, თითქოს იგი ეთერის მოძრაობა იყოს, გამოწვეული თვით კუდიან ვარსკვლავის თავისებურ თვისებით. პირველ შეხედულობას სამართლიანად არღვევს ფლამარიონი, რადგან ვარსკვლავის კუდი რომ მართლა ნივთიერი იყოს, მაშინ იმის ბოლომ 600,000 კილომეტრი უნდა გაიაროს ერთ წამში, როცა მისი გზა (ელიპსი) შესამჩნევად ვიწროვდება მზესთან მიახლოვებაში და ამასთან მზის სიახლოვის გავლენით საშინელის სისწრაფით იწყებს ქროლას.

„კუდმა" თვით ვარსკვლავზე (ანუ გულზე, როგორც უწოდებენ ასტრონომიაში) ბევრად უფრო მეტი მანძილი უნდა გაიაროს, რადგან იგი რამდენსამე მილიონ ვერსს აღემატება; და ეს ამდენი მილიონი ვერსი ყოველთვის უკან კი არ მისდევს, არამედ ხან უკან მისდევს, ხან მარჯვნივ ან მარცხნივ და ხან წინაც უსწრებს ხოლმე. რომ უკან მისდევდეს კვალდა-კვალ, მაშინ იგი იმდენსავე მანძილს გაივლის, რამდენსაც მიდის თვით „გული", მაგრამ, საუბედუროდ, ესე ბევრით მეტი მოგზაურობა უნდება ცის სივრცეში, რადგან იგი ყოველთვის მიმართულია მზის წინააღმდეგ და იმისი დიამეტრი იმდენით არის „გულის" დიამეტრზე მეტი, რამდენიც სიგრძე აქვს.

მეცნიერებას დიდ უხერხულობაში აყენებს სწორედ ის გარემოება, რომ კუდიანი ვარსკვლავის შუქი სულ ყოველთვის მზის პირდაპირ აჩის ხოლმე. ჯერ მზე, მერე—კუდიანი ვარსკვლავის „გული" და შემდეგ კუდი.

ის რომ მატერიალური რამ იყოს, მაშინ რათ გაურბის მზეს, რათ ეშინიან იმისი? და თუ ეთერული მოძრაობაა, საკუთარის ძალით განვითარებული, როგორც ფიქრობს თვით ფლამარიონი, მაშინ რადა მარტო იმ მხარეს იჩენს იგი თავს, რომელიც მზეს არის მოფარებული ვარსკვლავის „გულით"?

ერთის სიტყვით, ჯერ-ჯერობით დაჭეშმარიტებით არაფერია გამორკვეული. ის კი მართალი უნდა იყოს, რომ კუდიან ვარსკვლავის ახსნა **უპირველეს ყოვლისა** უნდა ვეძებდეთ მზის გავლენაში მასზე და არა სხვაგან სადმე. რადგან მისი „კუდი" მხოლოდ მზეს შესჩერებია თვალებში და იმის თანხმობით იცვლის ადგილს სივრცეში.

ასეა თუ ისე ბუნების ნამდვილ შვილს შეუძლიან ბედნიერად ჩასთვალოს თავი, რომ თვალწინ ჰხედავს ბუნების იშვიათ მოვლენას. იგი თავის ნისლოვან შუქით ცხოვრების ტალახიდან ჰგლეჯს ჩვენს გონებას და თვალწინ აყენებს ათასნაირ მსოფლიო საკითხს, რაშიც ირჩობა, ინთქება უთვალავი ამ ქვეყნიური წვრილმანობა და თვით ქვეყანაც, უყურებ ჩვენს დასაწყისს. გადაჰხედავ ჩვენს ბოლოს და იქ ცარიელ სივრცის, სიჩუმის მეტს ვერაფერს ჰხედავ. სახტად რჩები, გაყრუვდები, მაგრამ აღტაცებაშიც მოდიხარ ბუნების, განგების იდუმალ სიდიადით, სირთულით, სიმდიდრით...

რამდენიმე დღის შემდეგ ისევ გაჰქრება ეს უცნაური სტუმარი და მომაკვდავთა თვალთ მოშორებით პოეტის ოცნებისავით დაიწყებს ქროლვას სამყაროს უსაზღვრობაში, სივრცის განუზომელობაში....

**ლევ. მეტრეველი.**

# თეატრი და ხელოვნება

**ვლ. ალექსი-მესხიშვილის გასტროლი.** დღეს ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება შექსპირის ტრაგედია „ჰამლეტ". ჰამლეტის როლს შეასრულებს ვლ. ალექსი-მესხიშვილი. მონაწილეობას მთელი დასი იღებს.

**კონცერტი.** შაბათს, 23 იანვრისთვის, დანიშნულია კონცერტი წ.-კ. საზოგადოების სასარგებლოდ. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ, სხვათა შორის, ქნ. გურამიშვილისა, ქ-ნი პოლტარაცკისა, ივ. სარაჯიშვილი, ვილშაუ, ბ. სნარსკი და სხვანი.

# ბიბლიოგრაფია

(**„ქართული ეროვნული ორხმოვანი სიმღერები"**, შედგენილი დ. არაყიშვილის მიერ).

სიმღერების კრებული, რომლის სათაურიც აქ ამოვწერეთ, შედგენილი და გამოცემულია მოსკოვში ბ-ნ არაყიშვილის-მიერ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში სახალხო სკოლებისთვის. ურიგო არ იქნება, გადავავლოთ თვალი ხსენებულ კრებულის სიმღერების მართლ-წერას.

ჩვენის აზრით, ამ კრებულში მოთავსებული ბევრი სიმღერა შეუწყნარებელის ფორმით არის ჩაწერილი, შედარებით იმ დედანთან, როგორც იტყვის ხალხი ამა თუ იმ კილოს.

კრებულის პირველ სიმღერას მესამე ტაქტშივე გამოტოვებულია პირველი ხმის თქმა, რომელიც უნდა ჰბგერდეს წმინდა კვინტებით ბანთან შეთანხმებაში. რასაკვირველია, პირველი ხმაც უნდა თავდებოდეს ბანთან ერთადერთის ჩარექით რეპრიზას მეორე ფარდულში. ამ სიმღერას სათამაშოდ იტყვიან ჩქარის ტემპით. დედა ამ სიდერისა ს. მეჯვრის-ხევია, საიდანაც იწყო გავრცელება ქვემო ქართლშიაც 1878 წლიდან. სიმღერის სათავე-კი არაფრით არის აღნიშნული, რა კატეგორიას ეკუთნის იგი. ამნაირ აღნიშვნას, არა სიმღერისთვის, არამედ თვით კრებულის დანიშნულებისთვის, როგორადაც საპედაგოგიოდ სახმარებელი, ჩვენ საჭიროდ ვცნობთ, რადგან ჰანგი მოკლე სიმღერისა სიჩქარით თქმული კოხტად, მკვიცხლად გამოდის და როგორათაც ამნაირი, ბავშვებს ახალისებს; მალეც ითვისებენ.

ამ გვარივე შეცდომაა მეორე სათამაშო სიმღერაში, რომელიც წინამძღვრიანთ კარშია ჩაწერილი. მეორე ტაქტში ბანთან ერთად პირველი ხმაც იწყებს და ათავებს თავის სათქმელს; ხოლო იგი კი ჰბგერს წმინდა კვინტებით ბანთან შეკვეთით. შეცდომა იქნება როგორც პირველ, ისე მეორე სიმღერაში არ ვიგულისხმოთ პირველის თქმა. პირველი ხმის ბგერა აქ ისეთი ბუნებრივი მოთხოვნილებაა, რომ ამას ქართულ სიმღერების არა მცოდნეც უიბლიოდ იგულისხმებს.

კრებულში რვა თუ ცხრა პირი „პერიო"-ა მოთავსებული, ქართლის სხვა და სხვა სოფელში ჩაწერილი. მეც ქართლელი გახლავარ, ბევრჯელ ვყოფილვარ იმ სოფლებშიაც, სადაც ბ-ნ არაყიშვილს ჩაუწერია ეს კილოები და უნდა გამოვტყდე, რომ არც ერთი არ წააგავს იმ კილოს, რომელსაც იტყვიან ჩვენ სოფელში. როცა ვამბობთ, ჩვენ სოფელში ნათქვამი კილო არ წააგავს აქ მოყვანილ „მკის სიმღერას", ისე არ იგულისხმოთ, ვითომ საერთო არა ჰქონდეთ რა. არა, საერთო ბევრია, მაგრამ თვით კილოს მართლ-წერა შეცდომად მიგვაჩნია. აი, თუნდ № 12 „ჰერიო". ვერც კი გამიგია, რად ამბობს პირველი ხმა კილოს სამ ფარდულში და მას მოსდევს სამ ფარდულად თქმა ბანისა. მეორეც ეს: დაიწყობა პირველ ხმისა სამ ფარდულს ჭკი არ უნდა უდრიდეს, არამედ ერთს; ესე: მთქმელი ამბობს ერთ ტაქტში „დახედე", ხოლო გუნდი მუშების უპასუხებს მთქმელს სამის ტაქტით „აბა დახედე". ბ-ნ არაყიშვილს-კი ეს სამი ფარდული მარტო ბანებისთვის მიუცია, პირველი ხმის თქმა კი სულ გამოუტოვებია ამ ფარდულებში.

სიმღერა „ორმოში ფეტვი ჩავყარე" ბ-ნ არაყიშვილს ორ ხმად ჩაუწერია. ესეც შეცდომად მიგვაჩნია, ვინაიდან ამ სიმღერას სამ ხმად იტყვიან. არაყიშვილის საყურადღებოდ უნდა ვთქვა, რომ პირველი ხმა ამ კილოსი იწყება მე-12, ფარდულში ბოლოდან. პირველი ნახევარი კი თავიდან უპირველოდ ჩაუწერია, თუმცა კი ბანი და პირველი მეოთხე ტაქტში უნდა უერთდებოდნენ მთქმელს. საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ისიც, რომ არ არსებობს სიმღერა დამოუკიდებლად „ორმოში ფეტვი ჩავყარე"; არის კილო სიმღერისა „ოებროვე მიდის წყალზედა", რომელსაც მღერიან ბიწმენდში და მიდამო სოფლებში, ხოლო ამ კილოს ოდესმე მოუწყვეს საბავშო ლექსი „ორმოში ფეტვი ჩავყარე" და სიმღერამაც მიიღო მისი სახელი.

სხვა სიმღერებზე არაფერს ვამბობთ: მკითხველის არ გავგიჭირვეთ შენიშვნა. ვიტყვი კი, რომ ბევრი სამ ხმოვანი სიმღერა ორ ხმოვანად არის ჩაწერილი. იმ აზრს რომ დავადგეთ, რა საზომითაც არაყიშვილი მისდგომია ამ შემთხვევაში, მაშინ ყველა სამ ხმოვანი კილო შეიძლება ორ ხმოვნად ჩაითვალოს. პირადად ჩვენ ცოტას ვიცნობთ ქართულ ორ ხმოვან სიმღერას, აქ მოყვანილი ორ ხმოვანი კილოები ხომ ბევრი საეჭვოდაც მიგვაჩნია.

ვერც ეს გამიგია, რას ნიშნავს ავტორის ზოგიერთი წარწერანი. მაგ.: „აღნიშნულია ბგერა ეწყობა ფორტეპიანოს სი და სი ბემოლის შორის", ან კიდევ: ეს ბგერა „სი"-დადაბლებულია შედარებით ფორტეპიანოსთან, შემდეგ ბგერა გადადის ან წმინდა სი-ში ან-სი-ბემოლში" და სხვა. უნდა ვსთქვა, ბედნიერი სმენის კაცი ყოფილა ბ-ნი არაყიშვილი, რომელიც თურმე სი-სა და სიბემოლ შუა კიდევ მეოთხედ ტონს არჩევს. გამიგია კი, რომ არაბებისა და ძველი საბერძნეთის მუსიკის თეორეთიკოსები მიჰხვდებოდნენ ხოლმე ტონის მეოთხედსა, ან კიდევ—ბეთჰოვენი არჩევდა ტონის მეოთხედსაო; ხოლო, როგორც ვიცით, ბეთჰოვენი ტონის მეოთხედზე გამოკვლევას მეცნიერებით-კი არ გვკვირვებს, არამედ თავის გენიოსობით და არაბეთისა და საბერძნეთის მეცნიერნი, რომელნიც დარჩნენ მუსიკაში ერთი მეოთხედი ტონისა დაკანონებინათ, ეხლა ჩვენს ღიმილს-და იწვევენ. აი, ამიტომ ვერც კი მომიფიქრია, თუ რად დასჭირდა ბ-ნ არაყიშვილს ეს არა ვისთვის გაუგებარ-წარწერანი. განა კიდევ ეჭვი არ არის, რომ ფორტეპიანოს კლავიატურა განუვითარებელია, ანუ დედამიწის ზურგზე მოიპოვება იმისთანა ბგერა, რომელიც არ ჩაეწყობოდეს ნოტისა და ფორტეპიანოს სისტემაში? ეს ხომ ვიცით, რომ ყველა ხმის დელვა გაზომილია—სიმაღლითაც, სიმდაბლითაც; რა ხმა გნებავთ, რომ ფორტეპიანომ არ გიპასუხოთ, გარდა შუილ-ქუხილის, თუმცა თანამედროვე მუსიკა ამასაც კი დამობს გამოხატოს. მაშ რადა საჭიროა ამისთანა წარწერანი? თუ იმ აზრით არის გათვალისწინებული, რომ ბევრისთვის გაუგებარი იყოს და მით მეცნიერული ხასიათი მიეცეს კრებულს ესეც მიზანს ვერ აღწევს, ვინაიდან კრებული სოფლის მასწავლებლებისთვის არის დანიშნული და აბა, განა არ მოგეხსენებათ, სად შესწევთ მათ მაგენის გაგება! მე ქართული სიმღერა არ წარმომიდგენია, რომელიც მშვენივრად არ ეწყობოდეს ფორტოპიანოზე. აი, თუნდ არაყიშვილის მიერ აღნიშნული სიმღერები სულ ბუნებრივად ეწყობა ამა თუ იმ მაჟორის გამოხმაში, მორჩა და გათავდა. მე უბრალო მომაკვდავმა ვერც კი გავიგე, რად უნდა ყოფილიყო ის სადაც ტონი, რომელსაც არაყიშვილი ხაზ გასმით აღნიშნავს! ამიტომ ვგონებ, გამოკვლევა, თუ სხვა რამე, რაოდენიც მარტივი და გასაგები იქნება, იმდენად უკეთესია ჩვენთვისაც და თვით ნამუშევარისთვისაც.

საერთოდ ამ კრებულზე უნდა ითქვას, რომ თითქოს იგი არაყიშვილის დაკვირვებულს, აზომილ-გაზომილ ნამუშევარ გამოცემებს არ წააგავს, მას რადაც აჩქარება ეტყობა, თუმცა კი მასალა, შინაარსი კრებულისა, ჩვენის ღარიბ ქართულ მუსიკისათვის ჯერ ახალი საჩუქარია. ამ ჯერ ხელ-უხლებელ მასალას კი რომ ბ-ნ არაყიშვილის დაკვირვება არ მოჰკლებოდა, მართლა ძვირფას განძად გარდაიქცეოდა; მაგრამ ეს შემთხვევითია—ძვირფას ნამუშევარსაც მოველით არაყიშვილისგან.

**ი. კარგარეთელი.**

# შორეული აღმოსავლეთი

**რუსულ პრესის აზრი იაპონიის გამარჯვებაზე.**

„რუსკია ვედომოსტი"-საც ძლიერ აოცებს რუსეთის მთავრობის პასუხი და ვერ გაუგია, რისთვის უარ-ჰყო მან ამერიკის წინადადება, რატომ არ ისარგებლა მარჯვე შემთხვევით, არ გაყიდა მანჯურიის რკინის გზა, რომელიც მუდამ წელს 20-დან 30 მილიონამდე მანეთის ზარალს აძლევს რუსეთის ხაზინას, და რატომ სამუდამოდ ხელი არ აიღო მანჯურიის „გიჟურ ავანტიურაზე".

მაგრამ სახელმწიფოთა განწყობილება იმნაირია ამ ჟამად, რომ ამერიკის წინადადების განხორციელება შეუძლებელი იყო. გაზეთის აზრით, ამერიკის წინადადების ბედი ინგლისმა გადასწყვიტა: „ამერიკის წინადადების ბედი ინგლისს ეჭირა ხელში. ინგლისი რომ დასთანხმებოდა ამერიკას და არ მოჰრიდებოდა, თავის მოკავშირე იაპონიის გულის-წყრომასა და სამდურავს, მაშინ საქმე სულ სხვანაირად დატრიალდებოდა. მაგრამ ინგლისმა არ უღალატა თავის მოკავშირეს; იაპონიამ ისარგებლა ამით, თამამად შეუთვალა ამერიკას: „ხელი არ ახლო მანჯურიასაო", ხოლო ჩინეთს ხომ პირდაპირ დაემუქრა: ამერიკის წინადადების პასუხს ჩინეთს მოვსთხოვთო". ინგლისი ჩვენის აზრით, ასეთის მოსაზრებით ხელმძღვანელობდა. მის გულში დიდი ხანია აღარა ღვივის ის მხურვალე თანაგრძნობა „ამომავალ მზის ქვეყნისადმი", როგორსაც ინგლისელი ხალხი იჩენდა რუსეთ-იაპონიის ომის წინ. პირიქით ინგლისი ეჭვის თვალით უცქერის ახლად მოვლენილ დიდ სახელმწიფოს და თუ იაპონიას როდისმე ჩამოაგდებენ ეხლანდელ მაღალ პიედესტილიდან ეს უეჭველად ინგლისის უნარი იქნება. ინგლისი არ მოითმენს, რომ ვინმე სერიოზულად შეეცილოს ზღვაზე ბატონობაში. ინგლისი ზღვის ბატონია და იმდენად ძლიერი, რომ არ გაუჭირდება გასრესა იაპონიისა, რომელიც მან თითონვე შექმნა. და რომელსაც ამ ჟამად ვერც რუსეთი და ვერც ამერიკა გაუმკლავდებიან. ეგაა, იაპონია ჯერ საშიში არაა ინგლისისთვის და ამიტომ ინგლისს ჯერ ხელს არ მისცემდა, რომ შორეულ აღმოსავლეთში დარღვეულიყო ის მდგომარეობა, რომელიც შექმნა თითონ ინგლისის დიპლომატიურმა ხელოვნებამ და კაპიტალმა. რუსეთს, ამერიკას და იაპონიას შეუძლიანთ ბევრი უსიამოვნება მიაყენონ ინგლისს, ამიტომ ინგლისისთვის ძლიერ სასარგებლო იქნება ამ სამ ქვეყანას შორის ურთიერთობა გამწვავებული იყოს და ამის გამო ყოველი ამ სახელმწიფოთაგანი დიდად აფასებს ინგლისის მეგობრობას".

გაზეთის აზრით, მანჯურიის საკითხს მაინც ბოლო არ მოჰღებია და ჯერ კიდევ თავს იჩენს ეს საქმე.


# განცხადებანი

**ღვინის კარგი ბოთლები**

1/16 ვედრისა არის ბლომად კ. ი. კასაავის საწყობში. ფასები იაფია. ადრესი: ტფილისი, სომხის ბაზარი, ხ. საკრედიტო საზოგ.-ბისა, N 1, **გევორქ იაკობის ძეს კასაბოვს.** (3—124—1)

**იყიდება მიწა**

**შემთხვევით**

ძლიერ იაფად, საბურთალოზე, არტილერიის კაზარმებთან, სადაც არჩუამე სახლებს აშენებს, იქვე ახლო არის ჭეს მიწაც, 200 ოთხკ. საჟ., სადაც შეიძლება აშენდეს მაღაზიებისათვის გამოსადეგი შენობა. სამოსახლოდაც ძლიერ კარგი და მოხდენილია, რადგან დიდი ქუჩის პირს აქვს ფასადი. მსურველს შეუძლიან ფასის გაგება ვერის ხიდთან, შემის საწყობში, რ. დ. კორძაიასთან. (1—125—1)

**გრამოფონების მეგობრებისა და მოყვარულების**

**საყურადღებოდ.**

სოლოლაკში, სერგეევის ქუჩაზე, აზოვო-დონის ბანკის პირდაპირ,

**გრიგოლ სერგეის ძე დავიდოვმა გახსნა**

**გრამოფონებისა და ფირფიტების ახალი საწყობი**

**მიღებულია აუარებელი ორპირიანი ფირფიტა ზონოფანის ქარხანა და სააქციონერო საზოგადოება**

**„გ რ ა მ ო ფ ო ნ ი"**

საქარხნო მარკით: ანგელოზი კალმით ხელში.

ქალაქ გარეშე მყოფ მყიდველების საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ რადგან საწყობს აუარებელი საქონელი მოუვიდა, ამიტომ დაკვეთილი საგანი სწრაფად და ხელად გაეგზავნებათ. (5—5—5)

**სანერგე ამერიკულ ვაზისა**

**„კლო-უგურული" ქუთაისში.**

**უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში**

1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სასმელ და საჭმელ ყურძნის ჯიში და გიბრიდები.

**მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის-კურანტები.**

აქვე იღებენ ბავშვებს სამეურნეო მუშაობის შესასწავლად. (0—6.—17)

**პროვოდნიკის**

1897 წ.

ПОСТАВЩИКЪ ДВОРА ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА

1908 წ.

ФАБРИЧ. КЛЕЙМО ПРОВОДНИКЪ РИГА

1888

**ამხანაგობა**

**რიგაში**

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

**იყიდება ნარდად და ცალობით:**

დარეზინებული წყალ გაუვალი **ზედა ტანისამოსი**
სულ ახალ საზღვარ-გარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა. ხოლო იაფ ფასამდის.

დარეზინებული **წამოსასხმები და პალტოები** ბ-ნთ აფიცერთათვის;

დარეზინებული **მატერია** სხვა და სხვა მიზნისთვის;

**რეზინის ლრუბელი;**

**სავარცხლები** რქის რეზინისაგან;


სტამბა „სინათლე" რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აგლაძე.